ფიქრები სულის ცხოვრებაზე

რუჰის ინსტიტუტი

წიგნი 1

ფიქრები სულის ცხოვრებაზე

რუჰის ინსტიტუტი

წიგნები ნაწილიდან:

ქვემოთ მოყვანილია მასალათა ჩამონათვალი, მომზადებული რუჰის ინსტიტუტის მიერ. ეს წიგნები მომზადებულია კურსთა ძირითადი თანმიმდევრობისათვის, დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის სახით ახალგაზრდებისა და უფროსებისთვის და მიმართულია მსახურების უნარის ზრდისკენ. რუჰის ინსტიტუტი ასევე შეიმუშავებს დამატებით კურსთა სერიას მესამე წიგნის განშტოების სახით, ბაჰაი ბავშვთა კლასების მასწავლებელთა მომზადებისათვის, რაზეც ასევე მითითებულია ჩამონათვალში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამონათვალი თანდათან გაიზრდება, ადგილებზე გამოცდილების მიღების მიხედვით და მასში დამატებული იქნება პროგრამის ახალი ელემენტები, როდესაც მასალები, რომლებიც იმყოფება შემუშავების სტადიაზე, მოწოდებული იქნება საყოველთაო გამოყენებისთვის.

წიგნი 1	*ფიქრები სულის ცხოვრებაზე*
წიგნი 2	*აღვსდგეთ მსახურებისათვის*
წიგნი 3	*ბავშვთა კლასების ჩატარება, საფეხური 1*
	ბავშვთა კლასების ჩატარება, საფეხური 2 (დამატებითი კურსი)
	ბავშვთა კლასების ჩატარება, საფეხური 3 (დამატებითი კურსი)
	ბავშვთა კლასების ჩატარება, საფეხური 4 (დამატებითი კურსი)
წიგნი 4	*ორმაგი ღვთიური გამოვლინება*
წიგნი 5	*მოზარდთა ძალების გამოთავისუფლება*
	საწყისი იმპულსი: მე-5 წიგნის პირველი განშტოებული კურსი
	გაფართოებადი წრე: მე-5 წიგნის მეორე განშტოებული კურსი
წიგნი 6	*უფლის რწმენის სწავლება*
წიგნი 7	*მსახურების გზაზე ერთად სიარული*
წიგნი 8	*ბაჰაულას აღთქმა*
წიგნი 9	*ისტორიული თვალთახედვის მოპოვება*
წიგნი 10	*სიცოცხლით აღსავსე თემების აშენება*
წიგნი 11	*მატერიალური საშუალებანი*
წიგნი 12	(მზადების ეტაპზეა)
წიგნი 13	*სოციალურ ქმედებებში ჩართვა*
წიგნი 14	(მზადების ეტაპზეა)

Copyright © გამომცემლობა რუჰის ინსტიტუტი, კოლუმბია
ყველა უფლება დაცულია.

Copyright © 2020, 2025 by the Ruhi Foundation, Colombia
All rights reserved. Edition 4.1.1.PE published in 2025
Printed in Georgia

Originally published in Spanish as *Reflexiones sobre la vida del espíritu*
Copyright © 1987, 1995, 2008, 2020 by the Ruhi Foundation, Colombia
ISBN 978-958-59880-3-3

Ruhi Institute
Cali, Colombia
Email: instituto@ruhi.org
www.ruhi.org

სარჩევი

რამდენიმე იდეა წამყვანისთვის..... v

ბაჰაი წერილების გაგება 1

ლოცვა 15

სიცოცხლე და სიკვდილი 31

რამდენიმე იდეა წამყვანისთვის

უკვე მრავალი წელია მთელს მსოფლიოში იზრდება დასახლებული პუნქტების რიცხვი, სადაც შეისწავლება წიგნი ფიქრები სულის ცხოვრებაზე – პირველი წიგნი კურსთა ძირითადი თანმიმდევრობისა, წარმოდგენილთ რუჰის ინსტიტუტის მიერ. უმეტეს შემთხვევაში მასალა იკითხება და განიხილება მეგობართა ჯგუფში: მათ შეუძლიათ შექმნან სასწავლო წრე, რომელიც რეგულარულად იკრიბება, შეუძლიათ ერთად შეიკრიბნონ კამპანიაზე, ორგანიზებულს ინტენსიური სწავლებისთვის, ან შეიკრიბნონ ბანაკში სასკოლო არდადეგების დროს. როგორც არ უნდა იყოს, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იქნება წამყვანი, დამოკიდებულება წამყვანსა და სხვა მონაწილეებს შორის განსხვავდება მოსწავლე-მასწავლებლის მიდგომისგან. ყველანი შეგნებულად ერთვება პროგრამაში, სადაც ყველა ისწრაფვის სწავლებისკენ. მაგრამ წამყვანი – არ არის გარიყული ან პასიური ორგანიზატორი განხილვისა, თანმიმდევრობათა კურსის დასრულებისა და მათში მოცემული მსახურების აქტების განხორციელების დასრულების შემდეგ, მას შეუძლია დაეხმაროს ჯგუფის ნებისმიერ წევრს შესწავლილი მასალის მიზნის მიღწევაში. ისინი, ვინც წარმოადგენენ წიგნი 1-ს წამყვანს, შეუძლიათ სასარგებლოდ ჩათვალონ დრო და დრო განიხილონ იდეები, წარმოდგენილნი ამ შესავალში.

მონაწილეები, მთელს მსოფლიოში, რომლებიც იკრიბებიან ამ პირველ კურსზე ინსტიტუტისა, წარმოადგენენ საზოგადოების სხვადასხვა ფენას. მათგან, ვინმე უკვე ბაჰაი თემის წევრია და იმედოვნებს განამტკიცოს თავისი უნარები უფლის საქმის მსახურებისათვის, რომლებიც მათ მიიღეს. სხვები ამ კურსს განიხილავს როგორც ბაჰაი რწმენის კვლევის საწყისს, სხვებს იზიდავს ბაჰაი იდეალები და მათ სურთ გაეცნონ თემის მიზნებსა და ძალისხმევას და სულ უფრო მეტი რაოდენობაა ახალგზარდებისა, რომლებსაც სურთ განავითარონ თავიანთი უნარები საზოგადოებისათვის მსახურებისთვის. არაიშვიათად ერთი თუ ორი პროგრამის წყალობით, წარმოდგენილთ ბაჰაი თემის მიერ შეისწავლიან ამ კურსს, როგორც პირველ ნაბიჯს ამ გზაზე.

დასაწყისშივე ყოველი მონაწილისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ რუჰის ინსტიტუტის კურსები განსაზღვრავენ მსახურების გზას კაცობრიობისთვის, რომლითაც ყოველი ჩვენგანი თავისი ტემპით მიდის, სხვების დახმარებით, სხვებისგან დახმარების მიღებით. ამ გზით სიარული გულისხმობს სწრაფვას ორმხრივი ზნეობრივი დანიშნულებისკენ: პირადულ სულიერ და ინტელექტუალურ ზრდას და საზოგადოების გარდაქმნაში წვლილის შეტანას. ამ გზაზე პროგრესი არის ზოგიერთ უნართა ზრდა, რომლებიც მოითხოვენ გაგებასა და ცოდნას სულიერი თვისებებისა და ურთიერთობას საქებარი ქმედებებთან. ცოდნათა წყარო, რომლებზეც დაფუძნებულია ინსტიტუტის წიგნები – ერთის მხრივ, არის ბაჰაი რწმენის ცოდნა, და მსოფლიო ბაჰაი თემის გამოცდილება მატერიალური და სულიერი ცივილიზაციის წინსვლის საქმეში. ინსტიტუტი შთაგონებულია ბაჰაულას ხედვით ისეთი ადამიანისა, როგორიც შეგვიძლია გავხდეთ და ცივილიზაციისა, რომელიც შეგვიძლია ავაშენოთ. სავარაუდოდ, ყველა მონაწილე მიუხედავად წარმომავლობისა, გახსნილია ამ ხედვის მისაღებად, რომელიც აშკარად შეინიშნება თანმიმდევრობის წიგნთა ნებისმიერ ნაწილში.

სამყაროში, რელიგიური მიმდინარეობები და იდეოლოგიები მზად არიან გამოიყენონ ნებისმიერი საშუალებები, რათა მიიმხრონ მორწმუნეები, მას, ვისთვისაც უცნობია ბაჰაი რწმენა, შეუძლია დასვას გულწრფელი კითხვები რუჰის

ინსტიტუტის განზრახვასთან მიმართებით. უპირველეს ყოვლისა „მე მთხოვენ შევცვალო ჩემი რელიგია?“ ან „მე მთხოვენ შევუერთდე რელიგიას?“ ასეთი კითხვები წამყვანს შესაძლებლობას აძლევს განმარტოს კურსთა თანმიმდევრობის დანიშნულება, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, თუმცა სრულიად ბუნებრივია, რომ ბაჰაის სურდათ ეხილათ თუ როგორ შეუერთდებოდნენ მათი მეგობრები თემს. თუმცა წამყვანი შესაძლებელია მოისურვებს დაუმატოს, რომ მათი რელიგიური სწავლება უკრძალავს მათ თავიანთ რწმენაში სხვების გადმობირებას. მსახურების გზით რომ ვიაროთ, რომელიც იშლება ინსტიტუტის კურსების მეშვეობით, საჭიროა სულ უფრო ღრმა გაგება ბაჰაულას სწავლების პრინციპებისა, რომლის წარმოჩენასაც ინსტიტუტის მასალები ცდილობა ერთმნიშვნელოვნად; მიღება და რწმენა – არის საკითხები, რომლებიც უნდა იქნას განხილული ყოველი ადამიანის მიერ თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე.

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ამ წიგნის პირველი ნაწილი იწყება გაგებით, ყველაზე აუცილებელისა თანმიმდევრობის ყველა წიგნისათვის. წმინდა ნაწერების კითხვა - არ არის იგივე, რომ იკითხო ათასობით გვერდი, რომლებიც ხვდება ადამიანს სიცოცხლის განმავლობაში; და ბლოკი: "ბაჰაი ნაწერების გაგება" ისწრაფვის განამტკიცოს ჩვევა წმინდა ნაწერებიდან ნაწყვეტების კითხვისა ყოველ დღე და დაფიქრდნენ მათ მნიშვნელობაზე - ჩვევა, რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება მონაწილეებს, როდესაც ისინი დაადგებიან მსახურების გზას. იმისათვის რომ მიმართოს ისინი სწავლისადმი, წამყვანმა დიდი დრო უნდა დაუთმოს, რომ მოიფიქროს თემები გაგებისთვის.

ბაჰაი ნაწერები შეიცავენ ღრმა სულიერ ჭეშმარიტებებს და მაშინაც კი, როცა ჩვენ ვცდილობთ წინ წავიწიოთ ჩვენს გაგებაში მათი უსასრულო აზრისა, ჩვენ ვიცით, რომ ვერასოდეს მივაღწევთ ამაში ამომწურავ საფეხურს. ჩვენ ჩვეულებრივ ვღებულობთ საბაზისო ცოდნას ნაწყვეტის უშუალო მნიშვნელობისა მისი წაკითხვისას პირველჯერ და განყოფილება 1 მიიჩნევს ამას აღმძრავ წერტილად. ამგვარად, ციტატის წაკითხვის შემდეგ "სამყაროს გაუმჯობესება შესაძლოა მიღწეული იქნას სუფთა და კეთილი საქმეებით, საქებარი და ღირსეული საქმეების წყალობით", მონაწილეებს უბრალოდ ეკითხებიან: "როგორ შეიძლება მიღწეული იქნას სამყაროს გაუმჯობესება?" ერთი შეხედვით, ასეთი კითხვებისა და სავარჯიშოების უმრავლესობა ძალიან მარტივია. მაგრამ მრავალწლიანი გამოცდილება როგორც სჩანს ამართლებს ინსტიტუტის გადაწყვეტილებას, დაიწყოს შესწავლა ასეთი სახით. ჩვენ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ სიმართლის ძიების სიჩქარეში არ გამოგვრჩეს მხედველობიდან მისი ცხადი აზრი. ყურადღება გაგების ამ პირველადი საფეხურისა ასევე არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ჯგუფობრივი თათბირის დრო; ის განამტკიცებს აზრთა ერთიანობას, ადვილად მისაღწევს, როდესაც პირადი მოსაზრება გასხივოსნებულია ღვთაებრივი სიბრძნით.

აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმეტეს ნაწყვეტთა უშუალო აზრის გაგება არ მოითხოვს ხანგრძლივ მსჯელობას ცალკეული სიტყვებისა, ტექსტის მიღმა. მიუხედავად ამისა, ჯგუფს შესაძლოა ზოგჯერ დასჭირდეს ზოგიერთი სიტყვის მოძიება ლექსიკონში. თუმცა მონაწილეებისათვის უფრო სასარგებლოა ისწავლონ სიტყვის მნიშვნელობაზე დასკვნის გამოტანა მთელი წინადადებებისა და აბზაცების საფუძველზე.

იმისათვის რომ გაგება გასცდეს უშუალო აზრის საზღვრის ჩარჩოებს, დაგეხმარებათ მაგალითები, რომლებიც აჩვენებენ, თუ როგორ პოულობენ იდეები გამოყენებას, ამ მიმართებით საჭიროა მხოლოდ მარტივი სავარჯიშოები. მე-2

განყოფილებაში, მონაწილეებს მოეთხოვებათ ნაწყვეტის შუქში, რომელიც მათ ახლა წაიკითხეს, განსაზღვრონ ითვლება თუ არა ზოგიერთი მახასიათებელი საქებარ საქციელად. მე-4 განყოფილების ანალოგიურ ტექსტში, გთხოვენ დაასახელოთ ხუთი სათნოება, შემდეგ კი გადაწყვიტოთ შეიძლება თუ არა რომელიმეს მოპოვება სიმართლის არარსებობის დროს, გაცხადებულ წმინდა ნაწერებში, როგორც „საფუძველი ყოველგვარი ადამიანური სათნოებისა“.

წიგნის ამ ნაწილის მიზნის მიღწევისას მოითხოვება შემდგომი პროგრესი გაგებისა არამარტივი ამოცანის საშუალებით მონაწილეებისათვის, რათა დაფიქრდნენ ზოგიერთი წარმოდგენილი ნაწყვეტების შედეგებზე. მე-2 განყოფილებაში მათ უნდა განსაზღვრონ შეესაბამება თუ არა მტკიცებულება „სამყაროში იმდენად მცირეა კარგი ადამიანი, რომ მათ საქმეებს არ შეუძლიათ რაიმეს შეცვლა“. აქ მიზანი მდგომარეობს არა იმაში, რომ უბრალოდ გამოთქვათ აზრი. წამყვანმა უნდა გააკეთოს პაუზა და დაინტერესდეს მონაწილეთა პასუხების მიზეზით. ეს მტკიცებულება აუცილებლად უნდა იყოს ყალბი, რადგანაც ის ეწინააღმდეგება პირველ ციტატას წინა განყოფილებაში, – ასეთი იქნება დასკვნა, რომელთანაც უნდა მივიდეს ჯგუფი. კითხვა იმაზე, შეუძლიათ თუ არა ბაჰაის მოინანიონ ცოდვები სხვების წინაშე, ასევე ეკუთვნის ამგვარი სახის სავარჯიშოების მაგალითებს. აქ მითითებულია აკრძალვაზე სწავლებაში მონაწილეობაზე, როგორც საშუალებაზე ცოდვების მონანიებისა, რომელიც ცხადად არ არის მოხსენიებული რომელიმე შესასწავლ ნაწყვეტში და რომლის გაგებაც შესაძლებელია, შემდეგი აბზაცის შესწავლით, “ყოველდღიურად განსაჯე საკუთარი თავი, სანამ განგსაჯეს შენ პასუხისგების ჟამს”

წიგნის ამ ნაწილის სავარჯიშოებში არ არის არავითარი მცდელობა მოიცვას მნიშვნელობების დიაპაზონი, ჩადებული შესასწავლ ნაწყვეტებში. არის საკითხი, რომელზეც ყოველი წამყვანი უნდა დაფიქრდეს, თუ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს განხილვა ნებისმიერ კონკრეტულ სავარჯიშოში. აქ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ გაჭიანურებული დისკუსიები, მრავალი მათთან დაკავშირებული კონცეფციების განხილივ გამო, როგორც წესი ამცირებს მასალის ეფექტურობას. ყოველმა ჯგუფმა უნდა დაადგინოს გონივრული რიტმი წინსვლისა. მონაწილეებმა მკაფიოდ უნდა შეიგრძნონ, რომ ისინი განუხრელად მიიწევენ წინ თავიანთი შესაძლებლობების შესაბამისად. თუმცა მონაწილე ყურადღებით უნდა იყოს, რათა განყოფილებები არ განიხილებოდეს სწრაფად და ზედაპირულად, სავარჯიშოების გააზრებული ანალიზის გარეშე; ჯგუფები, რომლებიც ასე მოქმედებდნენ, უბრალოდ ავსებდენ პასუხებს, ვერასოდეს აღწევდნენ ხანგრძლივ შედეგებს.

და ბოლო მომენტი იმსახურებს გარკვეულ აღნიშვნას: წამყვანის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველჰყოს და მხარი დაუჭიროს ჯგუფის ყოველი წევრის ჩართულობას სწავლების პროცესში, რომელიც წინ მიიწევს სასწავლი მასალის წყალობით. რომელიმე ადამიანზე ზეწოლის გარეშე მონაწილეობის უზრუნველყოფა – რათა მან ისაუბროს – არცთუ იშვიათი პრობლემა ხდება. დასაწყისშივე გასაგები უნდა იყოს, რომ ამ გამოწვევასთან გამკლავება არ არის იოლი, ისეთი კითხვის დასმისას, როგორიცაა „რას ნიშნავს ეს თქვენთვის?“ ამგვარ კითხვებს, როგორც წესი, ცოდნა და ჭეშმარიტება მიჰყავს შეხედულების დონესთან. და ასეთ შემთხვევაში რთულია ასეთი ატმოსფეროს შექმნა, სადაც ჯგუფის წევრებს შორის აზრთა გაზიარება მივიდოდა უფრო ღრმა გაგებასთან.

წიგნის მეორე ნაწილი, ისევე როგორც პირველი, ეხება ჩვევას, რომელიც აუცილებელია სულიერი ცხოვრებისთვის. აქ, პირველ განყოფილებაში ნათლადაა

ნათქვამი ამ მცნებაზე „მსახურების გზაზე“, რაც გულისხმობს იმას, რომ უნდა განვიმსჭვალოთ ორმაგი დანიშნულებით. მონაწილეები იკვლევენ საწყის ბლოკს ციტატებისა, რომლებიც აძლევენ ცოდნას მოცემული დანიშნულების ბუნებაზე – ეს არის თემა, რომელიც შემუშავებული იქნება შემდეგ კურსებზე.

ამ თემის კონტექსტში წიგნის ამ ნაწილში შეისწავლება ლოცვის მნიშვნელობა. აქ გამოიყენება მიდგომა, ანალოგიური წინა აბზაცებში აღწერილისა. კითხვები და სავარჯიშოები ჩამოყალიბებულია ისე, რომ გაღრმავდეს ციტატათა აზრის გაგება შესასწავლი ნაწერებიდან, ჯგუფის წინსვლის ზომით წიგნის ამ ნაწილის მეშვეობით, წამყვანს შესაძლებელია დასჭირდეს გაფანტოს ეჭვები განმარტებებთან დაკავშირებით წარსულის პრაქტიკიდან. ზოგიერთ ტრადიციებში რიტუალი და ფორმა თანდათან დაბინდა შინაგანი მდგომარეობის მნიშვნელობამ და ამიტომ მრავალი იგნორირებას უკეთებს ლოცვების აუცილებლობას, რომელიც ადამიანის სულისთვის არ არის ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე საკვები სხეულის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად.

ამიტომ, წიგნის ამ ნაწილში უპირველეს ყოვლისა სწრაფვაა მონაწილეთა შთაგონებისათვის, რათა „ესაუბრონ ღმერთს“ და მიუახლოვდნენ მას. განსახილველ იდეებს შორის – რაც ნიშნავს ლოცვით მდგომარეობაში შესვლას, არის დამოკიდებულება ჩვენს გულსა და გონებას შორის. როდესაც ჩვენ ამას ვაკეთებთ და პირობებზე, რომლებიც უნდა შეიქმნას ჩვენს ირგვლივ, მიუხედავად იმისა, ვლოცულობთ ჩვენ სიმარტოვეში თუ შეხვედრისას. მართლაც, იმ ძალებზე ფიქრისას, რომლებიც იბადება კოლექტიური თაყვანისცემისას, მონაწილეებს სთხოვენ განიხილონ შესაძლებლობა შეხვედრებისა ლოცვებისა და თაყვანისცემისთვის.

მესამე ნაწილის „სიცოცხლე და სიკვდილის“ შესწავლა როგორც ჩვენ ვიმედოვნებთ განამტკიცებს უნარს, რათა იაროთ მსახურების გზით და მიანიჭოთ მას უფრო ღრმა აზრი. ამ სამყაროში, მსახურება აღიქმება სიცოცხლესთან სრულ კონტექსტში, რომელიც გრძელდება ჩვენი მიწიერი არსებობის საზღვრებს გარეთ და გრძელდება მარადიულად იმდენად, რამდენადაც ჩვენი სულები ვითარდება უფლის ყველა სამყაროში. სწავლების პროცესში, წმინდა ფუნქციონალური მომზადებისგან განსხვავებით, მონაწილეები სულ უფრო მეტად შეიცნობენ აზრს და მნიშვნელობას იმისა, თუ რას აკეთებენ ისინი. როგორც გამოცდილება აჩვენებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ასეთი აღმქმელობა გაიზრდება, ისინი ჩათვლიან თავინთ თავს აქტიურ პასუხისმგებელ მფლობელებად თავიანთი სწავლებისა.

წიგნის ამ ნაწილის ყოველი განყოფილება იწყება ერთი ან სამი ციტატით ბაჰაი ნაწერებიდან, შემდეგ მას მოსდევს რამდენიმე სავარჯიშო. ტექსტის მხატვრული გამოხატვა ამ ნაწერებისა, ციტირებულთ ამ ნაწილში, უფრო ღრმაა, ვიდრე წინა ორ ნაწილში. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი, რომ ჯგუფი შეჩერდეს რთულ სიტყვებთან გაგებასთან დაკავშირებით; წამყვანი მოისურვებს დარწმუნდეს, რომ ყველას ესმის მთავარი იდეა, განხილული ყოველ განყოფილებაში და ზუსტად ამაზეა მიმართული სავარჯიშოები.

თემის ბუნების გათვალისწინებით, სავარჯიშოები, რომლებიც შეიცავენ კონკრეტულ მაგალითებს, არ არის მრავალრიცხოვანი. მრავალი მათგანი, როგორც წესი, მოქმედებენ კონცეპტუალურ დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ სავარჯიშოებში მოცემულ ზოგიერთ საკითხებზე შეუძლებელია სწორი პასუხის გაცემა სწრაფად ან მკაფიოდ. ისინი გამოიყენება ამ საკითხის გაგების ასამაღლებლად, თუ

მონაწილეები მხოლოდ ფიქრობენ ასეთ საკითხებზე, მაშინ სწავლების მიზანი იქნება მიღწეული.

რამდენიმე პირველი განყოფილება მიძღვნილია სულისა და სხეულის დამოკიდებულებაზე, რომლებიც ერთად ქმნიან ადამიანს. ადამიანის არსებობის ამ სივრცეზე, ცენტრალური იდეა, წარმოდგენილი ამ განყოფილებაში მდგომარეობს იმაში, რომ მისი კავშირი სხეულთან შეიძლება შევადაროთ შუქს, გამოჩენილს ამ სარკეში. ვერც მტვერი, რომელიც ფარავს მის ზედაპირს, ვერც სარკის შემდგომი დამსხვრევა ვერ იქონიებს გავლენას თვით შუქის დიდებულებაზე. სიკვდილი – არის მხოლოდ მდგომარეობის ცვლილება, როდესაც კავშირი სხეულსა და სულს შორის ირღვევა, ამის შემდეგ სული მარადიულად მიიწევს თავისი შემოქმედისაკენ.

შემდეგ, ამ ნაწილში საუბარია ცხოვრების დანიშნულებაზე – შეიცნო ღმერთი და მიაღწიო მის თანდასწრებას. აქ საუბარი მიმდინარეობს ორი ღრმა თემის ირგვლივ. პირველი არის – ჩვენი ცხოვრების დანიშნულება ამ სამყაროში, მეორე კი – სულის მოგზაურობა სიკვდილის შემდეგ. სული არის – უფლის ნიშანი და შეუძლია აირეკლოს ყველა მისი სახელი და თვისება. მიუხედავად ამისა ადამიანის პოტენციალი არის მის შიგნით დაფარული; ის შეიძლება გაიხსნას მხოლოდ ღვთიური მოციქულის დახმარებით, იმ წმინდა არსებების, რომლებიც მოდიან დროდადრო, რათა კაცობრიობა წარმართონ სულიერი განათლების გზით, რომელსაც ისინი წარუდგენენ კაცობრიობას და ჩვენში დაფარული, თვითნაბადი ქვები შეიძლება გამოვლინდეს მათი დახმარებით.

რაც შეეხება სულის მოგზაურობას სიკვდილის შემდეგ, მონაწილეებს სთავაზობენ რიგ იდეებს გასააზრებლად: რომ უფლის ერთგულნი მიაღწევენ ჭეშმარიტ ბედნიერებას; რომ ჩვენ არ ვიცით თუ რა გველოდება ბოლოს და აქედან გამომდინარე ჩვენ უნდა მივუტევოთ ერთმანეთს და არ ვიყოთ ქედმაღალნი სხვების მიმართ; რომ შემდეგ სამყაროში სული წინ მიიწევს, ხოლო სულიერი თვისებები რომლებიც ჩვენ განვავითარეთ დაგვეხმარება ჩვენ იმიერ სამყაროში; რომ ჩვენ შევიცნობთ ჩვენს ახლობლებს შემდეგ სამყაროებში, გვემახსოვრება ჩვენი ცხოვრება ამ სამყაროში და დავტკბებით საუბრით წმინდა და ამაღლებულ სულებთან.

ეს ნაწილი მთავრდება ნაწყვეტით ბაჰაულას ნაწერიდან, სადაც ჩვენ გვარწმუნებენ შემდეგი სამყაროს სიკეთეებში და დაჟინებით მოგვიწოდებენ, რომ არ დავუშვათ, რათა ამ ცხოვრების ცვლილებებმა თუ ბედის უკუღმართობამ არ დაგვანაღვლიანოს ჩვენ. შემდეგ მონაწილეებს სთხოვენ დაფიქრდნენ იმ შედეგებზე, რაც მათ შეისწავლეს თავიანთი პირადი ცხოვრებისთვის.

ბავშვი ნაწერების გაგება

მიზანი

ყოველდღიურად წმინდა ნაწერებიდან
ნაწყვეტების კითხვის ჩვევის გამყარება
და დაფიქრება მათ მნიშვნელობაზე

განყოფილება 1

ამ განყოფილების მიზანია – დაგეხმაროთ წმინდა ნაწერებიდან ყოველდღე ნაწყვეტების კითხვისა და გააზრების ჩვევის გამომუშავებაში. წიგნის ეს ნაწილი იწყება მარტივი სავარჯიშოებით, სადაც თქვენ გთხოვენ წაიკითხოთ ერთი წინადადება წმინდა ნაწერიდან და უპასუხოთ კითხვას აქ მოცემული მტკიცებულებიდან. ეს წინადადება მარტივია, მაგრამ ის დაგეხმარებათ თქვენ დაფიქრდეთ მის მნიშვნელობაზე, ჩადებულს ციტირებულ მტკიცებულებაში და შეისწავლოთ ის.

„მსოფლიოს გაუმჯობესება მიღწევადია სუფთა და კეთილი საქმეების დახმარებით, საქებარი და სანიმუშო ქცევის წყალობით.“ [1]

1. როგორ შეგვიძლია მივაღწიოთ მსოფლიოს გაუმჯობესებას? _____

_____

_____

„უფრთხილდით, ბაჰას ხალხნო, მათი გზით სიარულს, ვისი სიტყვაც საქმისგან განსხვავდება.“[2]

2. ვისი გზებით არ უნდა ვიაროთ? _____

_____

_____

„ძეო ყოფიერებისა! ყოველდღე მოსთხოვე შენ თავს ანგარიში, ვიდრე თავად მოგთხოვენ...“[3]

3. რა უნდა გავაკეთოთ, სანამ მოგვთხოვენ ანგარიშს?_____

_____

_____

„თქვი: ძმებო, დაე, საქმენი და არა სიტყვანი იყოს თქვენი სამკაული.“[4]

4. რა უნდა იყოს ჩვენი ჭეშმარიტი სამკაული? _____

_____

„წმინდა სიტყვები და სპეტაკი, კეთილი საქმეები მიაღწევენ ღვთიური დიდების ზეცას.“[5]

5. რა ემართებათ წმინდა სიტყვებსა და სპეტაკ, კეთილს საქმეებს? _____

_____

_____

განყოფილება 2

ქვემოთ მოყვანილია რიგი სავარჯიშოები, რომლებიც დაკავშირებულია ახლა წაკითხულ ციტატებთან. ისინი განსაზღვრულია იმისათვის, რომ დაგეხმაროთ დაფიქრდეთ ნაწყვეტის მნიშვნელობაზე თქვენს ჯგუფში და არ უნდა შეასრულოთ მექანიკურად. ეს არ ნიშნავს იმას რომ ყოველი სავრჯიშო მოითხოვს ხანგრძლივ განხილვას. თუმცა, როცა სავარჯიშო რთულია, თქვენი ჯგუფის წამყვანი დაგეხმარებათ მის გულდასმით კვლევაში.

1. სიტყვა საქებარი ნიშნავს იმას, რაც იმსახურებს შექებას. ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან რომელი ითვლება საქებრად?

   _____ იყო კარგი მუშაკი

   _____ პატივს სცემდე სხვებს

   _____ იყო გულმოდგინე

   _____ იყო მატყუარა

   _____ იყო ზარმაცი

   _____ სხვას ემსახურო

2. რას ნიშნავს სიტყვები „სანამ მოგთხოვენ ანგარიშს“?_____

   _____

3. გადაწყვიტეთ, რომელია ჭეშმარიტი და რომელი მცდარი შემდეგი გამონათქვამებიდან:

   _____ მსოფლიოში ისე ცოტაა კარგი ადამიანი, რომ მათ საქმეებს არ შეუძლიათ რაიმეს შეცვლა.

   _____ სწორია ის, რაც შეესაბამება სხვა ადამიანთა თვალსაზრისს.

   _____ სწორია ის, რაც ეთანხმება ღვთიურ სწავლებას.

4. რომელ ქმედებებს შეიძლება დაერქვას სუფთა და კეთილი:

   _____ ბავშვებზე ზრუნვა და მათი სწავლება

   _____ ქურდობა

   _____ სხვა ადამიანთა განვითარებისთვის ლოცვა

   _____ სიძნელეებიდან თავის დაღწევის მიზნით მცირეოდენი ტყულის თქმა

   _____ სხვების დახმარება და საზღაურის მოლოდინი

5. ქვემოთ მოყვანილ რომელ სიტუაციაში პიროვნების სიტყვა შორდება მის საქმეებს?

_____ პიროვნება ყოველთვის იმეორებს, რომ ყველანი უნდა გავერთიანდეთ, მაგრამ ისე იქცევა, რომ კონფლიქტის მიზეზი ხდება.

_____ პიროვნება იწონებს ზნეობრივი ცხოვრების ფასეულობას, მაგრამ აქვს სექსუალური კავშირი ქორწინების მიღმა.

_____ პიროვნება პერიოდულად ღებულობს ალკოჰოლს, თუმცა აცხადებს რომ იცავს რელიგიურ რწმენას, რომელიც კრძალავს ალკოჰოლის მიღებას.

_____ პიროვნება იცავს ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას, მაგრამ როგორც დამსაქმებელი ქალებს შრომითი ანაზღაურება ნაკლებია ვიდრე მამაკაცებისა იმავე სამუშაოსთვის.

6. შეუძლია თუ არა ბაჰაის ცოდვების მონანიება სხვა ადამიანთან?_____

7. რა უნდა გავაკეთოთ აღსარების ნაცვლად?_____

_____

8. რას ნიშნავს სიტყვები „ღვთიური დიდების ზეცა“? _____

_____

9. რა გავლენას ახდენს მავნე ქმედებები მსოფლიოზე? _____

_____

10. რა გავლენას ახდენს ცუდი ქცევა მათზე, ვინც მათ სჩადის? _____

_____

განყოფილება 3

ახლა წაიკითხეთ შემდეგი ნაწყვეტები წმინდა წერილებიდან და დაფიქრდით მათზე. შემდეგ შეეცადეთ დაისწავლოთ ისინი.

„სიმართლე – არის საფუძველი ყოველგვარი ადამიანური სათნოებისა.“[6]

1. რა არის საფუძველი ყველა ადამიანური სათნოებისა? _____

_____

„ღმერთის ყველა სამყაროში, თითოეული სულისათვის განვითარება და წარმატება შეუძლებელია სიმართლის გარეშე.“[7]

2. რა არის შეუძლებელი სიმართლის გარეშე? _____

_____

„ადამიანებო, დაიმშვენეთ ენა სიწრფელით და სულნი თქვენნი პატიოსნების სამკაულით შეიმკეთ.“[8]

3. რით უნდა დავამშვენოთ ენა ჩვენი? _____

_____

4. რით უნდა შევამკოთ სულნი ჩვენი? _____

_____

„დაე იყოს თვალნი თქვენი უბიწო, ხელნი თქვენი – ერთგული, ბაგე – თქვენი მართალი და გული თქვენი – ნათელი.“[9]

5. როგორი უნდა იყოს თვალნი ჩვენი? _____ ხელნი ჩვენი?_____

ჩვენი ბაგე? _____ ჩვენი გული? _____

„ისინი, ვინც ღმერთის კარავში ცხოვრობენ და საუკუნო დიდების ტახტზე დამკვიდრებულან, შიმშილითაც რომ კვდებოდნენ, მაინც არ გაიწვდიან ხელს უკანონოდ მოყვასის ქონებისაკენ, რარიგ მდაბალი და უღირსიც არ უნდა იყოს ეს კაცი.“[10]

6. რაზე იტყვის უარს ბაჰაი, თუნდაც შიმშილით კვდებოდეს? _____

_____

_____

განყოფილება 4

როგორც უკვე შენიშნეთ მე-2 განყოფილებაში, ზოგიერთი სავარჯიშო მოითხოვს ზუსტ პასუხს. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩნდება ეჭვი პასუხთან დაკავშირებით, თქვენს წამყვანს შეუძლია დაგეხმაროთ სასურველი შედეგის მიღებაში. სხვა სავარჯიშოებში ზუსტად მსჯელობა არის დასაფასებელი და წამყვანს შეუძლია მიიღოს მონაწილეთა განსხვავებული პასუხები. მოცემულ განყოფილებაში № 4 კითხვა, სირთულის მიუხედავად პირველ ტიპს მიეკუთვნება, ხოლო № 6 – მეორეს.

1. სიმართლე არის საფუძველი ყველა ადამიანური სათნოებისა. დაასახელეთ ხუთი სათნოება. _____

_____

_____

2. შეიძლება თუ არა ჩვენ შევიძინოთ ეს სათნოებები სიმართლის გარეშე?___

3. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია ჭეშმარიტი:

_____ ადამიანი შეიძლება იყოს სამართლიანი, თუნდაც ტყუილს ამბობდეს.

_____ ვინც ქურდობს, ერთგული ხელი აქვს.

_____ ერთგული ხელი არასოდეს შეეხება სხვის ქონებას.

_____ პორნოგრაფიული წიგნებისა და ჟურნალების კითხვა ეწინააღმდეგება ბაჰაულას რჩევას – იქონიო უბიწო თვალი.

_____ სიმართლე – არის ის, როცა ადამიანი არ ცრუობს.

_____ პატიოსნება სულის სამკაულია.

_____ ის, ვინც არ არის სამართლიანი, შეუძლია სულიერად განვითარდეს.

_____ არაფერია საშინელი იმაში, თუ ცოტას იცრუებ.

_____ როცა ადამიანი მშიერია, ქურდობა ღმერთის წინაშე დასაშვებია.

_____ პატრონის ნებართვის გარეშე რაიმეს აღება და ფიქრი, რომ მოგვიანებით დააბრუნებ – არ არის ქურდობა.

_____ როდესაც ჩვენ ვიქცევით პატიოსნად, ამ დროს სამართლიანი და მართალნი ვართ და ჩვენი გულები ნათდება.

_____ შეუძლებელია ბიზნესის წარმატება მცირედი მოტყუების გარეშე.

4. შეიძლება საკუთარ თავს ტყუილს ეუბნებოდე? _____

5. რას ვკარგავთ, როდესაც ტყუილს ვამბობთ? _____

_____

6. როგორი იქნებოდა სამყარო, თუ ჩვენ ყველანი ვიქნებოდით მართალნი და პატიოსანნი?_____

_____

_____

_____

განყოფილება 5

წაიკითხეთ მომდევნო ციტატები და შეეცადეთ დაიზეპიროთ ისინი. წმინდა ნაწერებიდან ციტატების შესწავლა ფრიად სასარგებლოა და ამიტომ ყველა ძალ-ღონე უნდა მიმართოთ ამის მისაღწევად. ზოგიერთი ადამიანისთვის დაზეპირება სხვადასხვა მიზეზის გამო თითქმის შეუძლებელია, თუ თქვენ შეგხვდებათ მსგავსი სირთულე შეეცადეთ, იმდენად კარგად შეისწავლოთ ციტატები, რომ გადმოსცეთ მათი აზრი ორიგინალთან მიახლოებით.

„ენა კეთილი მაგნიტია კაცთა გულებს რომ იზიდავს, ის სულის საზრდოა, იგი მოსავს სიტყვებს მნიშვნელობათა სამოსით და შადრევანია სიბრძნისა და წვდომის ნათელის.“[11]

1. როგორ შეიძლება აღწერო კეთილი ენა?_____

_____

_____

_____

2. როგორ მოქმედებს კეთილი ენა სიტყვებზე?_____

_____

„ჰოი თქვენ, უფლის შეყვარებულნო! ამ წმინდა გამოცხადებისას უთანხმოება და განხეთქილება დაუშვებელია. ყოველი დამრღვევი მოუსპობს თავის თავს ღმერთის მოწყალებას.“[12]

3. მოცემული ციტატის თანახმად, რა არ დაიშვება ამ გამოცხადებისას?_____

_____

4. რას უკარგავს დამრღვევი თავის თავს? _____

_____

„დღეს ამას სხვა ვერაფერი დააზარალებს ამ საქმეს ისე, როგორც უთანხმოება და განხეთქილება, დავა, გაუცხოება და აპათია ღვთისაგან რჩეულთა შორის.“[13]

5. რას მოაქვს უფლის საქმისადმი ყველაზე დიდი ზიანი?_____

_____

_____

„ნუ დაკმაყოფილდები მეგობრობის გამოხატვით მხოლოდ სიტყვებით; დაე, თქვენი გულები აღენთონ სიყვარულით ყველასადმი, ვინც არ უნდა შეგხვდნენ.“[14]

6. როგორი მეგობრობით არ უნდა დაკმაყოფილდეთ? _____

_____

7. რა უნდა აღენთოს ჩვენს გულებში?_____

_____

„როცა წარმოიშობა აზრი ომზე, მას დაუპირისპირეთ უფრო ძლიერი აზრი მშვიდობაზე. სიძულვილის აზრი უნდა განადგურდეს უფრო ძლიერი აზრით – სიყვარულზე.“[15]

8. რა უნდა დავუპირისპიროთ აზრს ომზე?_____

_____

9. რამ უნდა გაანადგუროს აზრი სიძულვილზე? _____

_____

განყოფილება 6

ზემოთ მოცემული ციტატების გათვალისწინებით შეასრულეთ შემდეგი სავარჯიშოები:

1. მაგნიტს აქვს მიზიდულობის უნარი. როგორ მოქმედებს კეთილი ენა მაგნიტის მსგავსად? _____

2. გადაწყვიტეთ, წარმოადგენს თუ არა შემდეგი ფრაზები კეთილ ენას:

   _____ „თავი დამანებე!“

   _____ „რატომ არ გესმის?“

   _____ „გთხოვთ, დამელოდეთ გეთაყვა?“

   _____ „რა საშინელი ბავშვები არიან!“

   _____ „გმადლობ, ძალიან კეთილი ბრძანდებით.“

   _____ „ახლა საერთოდ არ მაქვს შენთვის თავისუფალი დრო. დაკავებული ვარ.“

3. ჩამოთვლილთაგან რომელ სიტუაციაში არის უთანხმოება და განხეთქილება?

   _____ ორი ადამიანი გამოხატავს სხვადასხვა აზრს თათბირის დროს.

   _____ ორი ადამიანი ნაწყენია და ეკამათება ერთმანეთს თათბირის დროს.

   _____ ორი ადამიანი არ ესწრება ყოველკვირეულ ლოცვით შეხვდერებს, რადგან იკამათეს და არ ელაპარაკებიან ერთმანეთს.

   _____ ერთ პროექტზე ერთად მომუშავე ჯგუფის წევრები მუდმივად უჩივიან ერთმანეთს და ამბობენ, რომ მეორე მხარე არ ასრულებს თავის ვალდებულებას.

4. რომელ შემდეგ სიტუაციაში არის გაუცხოების ნიშნები?

   _____ ორი მეგობარი ერთმანეთს გვერდს ისე უვლის, თითქოს ვერ ამჩნევენ ერთმანეთს.

_____ პიროვნება მიდის ლოცვით შეხვედრაზე და მას ყველა თბილად ხვდება.

_____ თავაზიანობის გამო ჯგუფის ორ წევრს არ სურს პროექტში ერთად მონაწილეობის მიღება.

5. გადაწყვიტე, ჭეშმარიტია თუ მცდარი შემდეგი დებულებები:

_____ ადამიანებს უნდა უთხრათ ყველაფერი, თუ რას ფიქრობთ მათზე და არ მიაქციოთ ყურადღება იმას, დასწყვეტთ, თუ არა მათ გულს.

_____ ტყუილის თქმა შესაძლებელია კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

_____ კონფლიქტიდან თავის დაღწევა შესაძლებელია სიყვარულისა და სიკეთის მეშვეობით.

_____ სიყვარულით წარმოთქმულ სიტყვებს მეტი ძალა აქვს.

_____ ნორმალურია იკამათო მასთან, ვინც თავადაა წამომწყები.

_____ ადამიანს აქვს უფლება იყოს უკმეხი სხვებთან, თუ ის ავადაა ან განაწყენებული.

_____ ცუდია მათი დაცინვა, ვინც რამეს არასწორად აკეთებს.

_____ როცა მეგობრებს შორის ჩამოვარდება უთანხმოება, თითოეულმა მათგანმა უნდა მოიკრიბოს ძალა, რომ გადადგას ნაბიჯი შერიგებისაკენ.

_____ როცა მეგობრებს შორის რთული დამოკიდებულება წარმოიქმნება, თითოეული მათგანი უნდა დაელოდოს სანამ მეორე არ შეეცდება პირველმა გადადგას შერიგებისაკენ ნაბიჯი.

განყოფილება 7

შეისწავლეთ ზეპირად შემდეგი ციტატები:

„ ... ავსიტყვაობა აქრობს გულის ცეცხლს და აშთობს სულის ცხოვრებას.“[16]

„ნუ განიკითხავ სხვათა ცოდვებს, ვიდრე თავად ხარ ცოდვილი.“[17]

„ნუ იტყვი აუგს, რომ შენვე არ დაგიბრუნდეს, ნურც სხვის ნაკლოვანებებს გააზვიადებ, შენი საკუთარი უმძიმესად რომ არ მოგეჩვენოს...“[18]

„ძეო ყოფიერებისა! როგორ შეგიძლია საკუთარი ცოდვების დავიწყება და სხვათა ნაკლოვანებების განსჯა?“[19]

1. როგორ მოქმედებს ავსიტყვაობა მათზე, ვინც მას სჩადის? _____

_____

2. რა უნდა გავიაზროთ, ვიდრე ვიფიქრებთ სხვა ადამიანების ცოდვებზე? __

_____

3. რა მოგვივა ჩვენ, სხვათა ნაკლოვანებების გაზვიადების შემთხვევაში?____

_____

4. რა უნდა გვახსოვდეს, როდესაც სხვების ნაკლზე დავიწყებთ ფიქრს? _____

_____

განყოფილება 8

ზემოთ მოცემული ციტატების გათვალისწინებით, შეასრულეთ შემდეგი სავარჯიშოები:

1. რა ემართება ადამიანის სულის განვითარებას, როდესაც იგი ყურადღებას ამახვილებს სხვა ადამიანების ნაკლოვანებებზე?_____

2. როგორ მოქმედებს ავსიტყვაობა თემზე?_____

_____

3. რას აკეთებთ, როდესაც თქვენი მეგობარი იწყებს სხვა ადამიანის ნაკლზე ლაპარაკს?_____

_____

4. გადაწყვიტეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი შემდეგი დებულებანი:

_____ თუ ჩვენ ვსაუბრობთ ვინმეს ნამდვილ ნაკლოვანებებზე, ჩვენ არ ავსიტყვაობთ.

_____ თუ ჩვენ ვსაუბრობთ ვინმეს კარგ ან ცუდ თვისებებზე, ჩვენ არ ავსიტყვაობთ.

_____ ავსიტყვაობა ჩვეულებად იქცა ჩევნს საზოგადოებაში და უნდა ვეცადოთ გამოვიმუშავოთ დისციპლინა, რათა განვერიდოთ მას.

_____ თუ მსმენელი გვპირდება, რომ არ ეტყვის არავის, რასაც ვლაპარაკობთ სხვა ადამიანზე, მაშინ ავსიტყვაობას არ მოჰყვება ზიანი.

_____ ავსიტყვაობა – ერთიანობის ყველაზე დიდი მტერია.

_____ თუ ჩვენ მუდმივად ვიწყებთ სხვების ნაკლოვანებებზე საუბარს, ჩვენ ვეჩვევით ავსიტყვაობას.

_____ ადგილობრივ სასულიერო კრებაზე სხვადასხვა ადამიანების შესაძლებლობებზე მსჯელობა დავალებების გაცემის მიზნით – ეს ავსიტყვაობაა.

_____ როცა გვიჩნდება სურვილი ავსიტყვაობის, ჩვენ უნდა გავიხსენოთ საკუთარი ნაკლოვანებები.

_____ როცა ვიცით, რომ ვიღაცა თავისი მოქმედებით რწმენას ან თემს აყენებს ზიანს, ჩვენ უნდა განვიხილოთ ეს ყველა ბაჰაისთან ერთად.

_____ როცა ვიგებთ, რომ ვიღაცა თავისი მოქმედებით რწმენას ან თემს აყენებს ზიანს, ვალდებულნი ვართ შევატყობინოთ მხოლოდ ადგილობრივ სასულიერო საკრებულოს.

_____ არაფერია ცუდი იმაში, როცა მეუღლეები მსჯელობენ სხვების ნაკლოვანებებზე, რადგან მათ შორის არ უნდა იყოს საიდუმლოებები.

განყოფილება 9

ამ ნაწილის დანიშნულება, როგორც დასაწყისში იყო აღნიშნული, იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს მონაწილეებს მათ მცდელობაში წმინდა ნაწერებიდან ყოველდღიურად ციტატებისა და ნაწყვეტების კითხვის უნარის განვითარებასა და განმტკიცებაში და მათი მნიშვნელობის გააზრებაში. უფლის ლექსების კითხვა ყოველ დილას და საღამოს – არის ბაჰაულას სწავლება, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს სულიერ განვითარებას. შემდეგი ნაწყვეტი მოგვახსენებს სიუხვეებზე, რომლებსაც ვღებულობთ მოვალეობების შესრულებისას და თქვენ წახალისებულნი ხართ მის ზეპირად შესწავლაში.

„ღრმად ჩაიძირეთ ჩემი სიტყვების ოკეანეში, რათა ჩასწვდეთ მის საიდუმლოს და იპოვოთ მის სიღრმეში დაფარული სიბრძნის მარგალიტები.“[20]

ამ ნაწილის დასრულებისას თქვენ შესაძლოა სურვილი გაგიჩნდეთ შეიძინოთ ბაჰაულას წმინდა ნაწერები და იკითხოთ ის ყოველ დღე. დასაწყისისთვის შეგიძლიათ შეარჩიოთ იდუმალი სიტყვები.

ბიბლიოგრაფია

1. Bahá'u'lláh, cited by Shoghi Effendi, *The Advent of Divine Justice* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 2006, 2018 printing), par. 39, pp. 36–37.

2. *ბაჰაულა, მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიბრძნე (თბილისი 1999),*CXXXIX, par. 8, გვ. 188.

3. ბაჰაულა, იდუმალი სიტყვები, არაბულიდან № 31, გვ. 18.

4. იქვე, სპარსულიდან № 5, გვ. 39.

5. იქვე, სპარსულიდან № 69, გვ. 79.

6. 'Abdu'l-Bahá, cited by Shoghi Effendi, *The Advent of Divine Justice*, par. 40, p. 39.

7. Ibid.

8. *ბაჰაულა, მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიბრძნე,* CXXXVI, par. 6, გვ. 184.

9. *Tablets of Bahá'u'lláh Revealed after the Kitáb-i-Aqdas* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1988, 2005 printing), no. 9.5, p. 138.

10. *ბაჰაულა, მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიბრძნე,* CXXXVII, par. 3, გვ. 185.

11. Ibid., CXXXII, par. 5, p. 327.

12. *Will and Testament of 'Abdu'l-Bahá* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 1944, 2013 printing), p. 26.

13. *ბაჰაულა, მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიბრძნე*, V, par. 5, გვ. 16.

14. From a talk given on 16 and 17 October 1911, published in *Paris Talks: Addresses Given by 'Abdu'l-Bahá in 1911* (Wilmette: Bahá'í Publishing, 2006, 2016 printing), no. 1.7, p. 6.

15. From a talk given by 'Abdu'l-Bahá on 21 October 1911, ibid., no. 6.7, p. 22.

16. *ბაჰაულა, მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიბრძნე, CXXV, par. 3, გვ. 165.* (ეს ციტატა აღებულია ქართული გამოცემის წიგნიდან, იქნა გადამოწმებული და შეტანილი რამდენიმე ცვლილება ამ სწავლის წიგნისთვის. (თ. ჩ.)

17. *ბაჰაულა, იდუმალი სიტყვები,* არაბულიდან № 27, გვ. 16.

18. იქვე, სპარსულიდან № 44, გვ. 63.

19. იქვე, არაბულიდან № 26, გვ. 16.

20. *ბაჰაულა, მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიბრძნე*, LXX, par. 2, გვ. 90.

ლოცვა

მიზანი

დაფიქრება ლოცვის მნიშვნელობაზე და
ლოცვის წაკითხვის ჩვევის გამყარება

განყოფილება 1

რუჰის ინსტიტუტის კურსები მოწოდებულია იმისათვის, რომ დაეხმაროს მონაწილეებს იარონ მსახურების გზით. ჩვენ მივდივართ ამ გზით, აღძრულნი გრძნობით ორმაგი დანიშნულებისა – გავიზარდოთ სულიერად და ინტელექტუალურად და წვლილი შევიტანოთ საზოგადოების გარდასახვაში. ჩვენი დანიშნულების ეს ორი ასპექტი განუყოფელია ერთმანეთისაგან. ბაჰაულა გვარიგებს ჩვენ ერთ-ერთ ნაწყვეტში:

„ნუ იქნებით დაკავებულნი მხოლოდ პირადი ინტერესებით; დაე, თქვენი ზრახვანი იმისკენ იყოს მიმართული, რაც კაცობრიობის კეთილდღეობას ააღორძინებს და ადამიანთა სულსა და გულს განწმენდს.“[1]

შემდეგ ნაწყვეტში ის განმარტავს:

„ ... მიზანი, რისთვისაც უბრალო მოკვდანი სრული არარსებობიდან ნაბიჯი გადადგეს არსებობის სამეფოში, იმაშია, რომ იშრომონ მსოფლიოს გაუმჯობესებისათვის და იცხოვრონ თანხმობასა და ჰარმონიაში.“[2]

ჩვენს შინაგან მდგომარეობასთან მიმართებით ის აცხადებს:

„სუფთა გული – არის სარკე. განწმინდე ის ბრწყინვალებამდე სიყვარულით და განთავისუფლებით ყოველივესგან უფლის გარდა, რათა ჭეშმარიტმა მზემ შეძლოს მასში გაბრწყინება და ამოვიდეს მარადიული განთიადი.“[3]

და კიდევ აბდულ-ბაჰა გვეუბნება ჩვენ:

„თქვენი გულები უნდა იყოს სუფთა და თქვენი ზრახვები გულწრფელნი, რათა გახდნენ მიმღებნი ღვთიური სიუხვეებისა.“[4]

1. რაზე უნდა იყოს გამახვილებული ჩვენი აზრები და ზრუნვები? _____
_____
_____

2. რა მიზნის გამო გადავდგით ნაბიჯი სრული არარსებობიდან არსებობის სამეფოში?_____
_____
_____

3. რითი უნდა გავწმინდოთ ჩვენი გულის სარკე? _____
_____

4. როგორია ზოგიერთი იმ პირობებიდან, რაც მიიზიდავს ღვთიურ სიუხვეებს?
_____
_____

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი?

- ჯერ თქვენ იზრუნებთ საკუთარ თავზე, შემდეგ კი შეგიძლიათ იზრუნოთ სხვებზე.
- თქვენ ყოველთვის ეხმარებით სხვებს, საბოლოო ჯამში კი კარგავთ სურვილს საკუთარი მიზნების ასრულების.
- შენ, შენთვის ყველაზე ახლო მეგობარი ხარ.
- ყველაზე მნიშვნელოვანია გაარკვიო, თუ რა გხდის ბედნიერს.
- მიჰყევით თქვენს ოცნებებს და ისინი მიგიყვანენ ბედნიერებასთან.
- იქამდე, სანამ არ მიაყენებ ზიანს სხვებს, მნიშვნელობა არ აქვს რას აკეთებ შენ.
- თქვენი მოტივები სრულიად შესაძლებელია იყოს ეგოისტური მანამ, სანამ აკეთებთ რაიმე კარგს.

განყოფილება 2

მთავარი მტკიცებულება ჩვენი არაორაზროვანი დანიშნულებისა – არის ის, რომ ჩვენ შევიქმენით კეთილშობილ არსებებად. ბაჰაულა ამბობს:

„ძეო სულისა! მე შეგქმენი მდიდარი, რატომ დახვედი სიღარიბემდე? კეთილშობილი შეგქმენი, რატომ დამდაბლდი? ცოდნის წყაროდან გასაზრდოვე, რატომ ეძებ მას სხვაგან, ჩემ გარდა? სიყვარულის თიხიდან გამოგძერწე, როგორ შეგიძლია სხვას იქმოდე რამეს? ჩაიხედე საკუთარ თავში და მიპოვი – ძლიერს, ყოვლისშემძლეს, თვითმყოფადს.“[5]

ქვემოთ თავისუფალი ადგილების შევსება დაგეხმარებათ ამ ნაწყვეტის გააზრებაში.

„ძეო სულისა! მე შეგქმენი _____ , რატომ დახვედი _____ ? _____ შეგქმენი, რატომ _____ ? _____ წყაროდ _____ რატომ _____ მას სხვაგან, _____ გარდა? _____ თიხიდან _____, როგორ _____ სხვას იქმოდე რამეს ? _____ საკუთარ თავში და _____ - _____ , ყოვლისშემძლეს, _____ . “

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი სულების კეთილშობილება, ჩვენ უნდა მივმართოთ წყაროს ჩვენი არსებობისა და მასთან ვეძიოთ შემეცნება. ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი საშუალება ამის მისაღწევად – არის ლოცვა. შოღი ეფენდი, რწმენის მფარველი, გვეუბნება ჩვენ, რომ ლოცვის მთავარი მიზანია „პიროვნებისა და საზოგადოების განვითარება სულიერი სათნოებებისა და ძალების

მოპოვებით. პირველ რიგში უნდა გამოიკვეცოს ადამიანის სული და ლოცვას ყველაზე კარგად შეუძლია უზრუნველყოს ეს სულიერი კვება.“[6]

განყოფილება 3

ღმერთი – ყოვლისმცოდნე, ყოვლადბრძენია. მან შეგვქმნა ჩვენ და იცის თუ რა გვაქვს გულში და რა არის საუკეთესო ჩვენთვის. მას არ სჭირდება ჩვენი ლოცვა. მაშინ რატომღა ვლოცულობთ?

აბდულ-ბაჰა ამბობს:

„ყველაზე ამაღლებულ ლოცვებში, ადამიანები მხოლოდ ღვთისადმი სიყვარულით ლოცულობენ და არა იმიტომ, რომ მათ ეშინიათ მისი ან ჯოჯოხეთის, ან წყალობასა და ზეცას იმედოვნებენ.... როცა ერთ ადამიანს მეორე შეუყვარდება, მას არ შეუძლია, არ ახსენოს თავისი შეყვარებულის სახელი. რამდენადვე ძნელია ღმერთზე გამიჯნურებული ადამიანისთვის მისი სახელის ხსენებისგან თავშეკავება.... სულიერი ადამიანი ვერაფერში ვერ პოულობს სიამოვნებას ღმერთის ხსენების გარდა.“[7]

და კითხვაზე პასუხად ის განმარტავს:

„თუ ერთ მეგობარს მეორე უყვარს, განა ბუნებრივი არ არის რომ მას სურდეს ამის შესახებ საუბარი? თუნდაც მან უწყოდეს, რომ მეგობრისთვის ცნობილია ამ სიყვარულის შესახებ, ხომ მაინც ენდომება, კვლავ გაუმხილოს იგი?... ეს მართალია, რომ ღმერთმა იცის ყველას გულის სურვილი; თუმცა ლოცვის მოთხოვნილება ბუნებრივია და იგი ადამიანის ღმერთისადმი სიყვარულისგან აღმოცენდება.“[8]

1. დაასრულეთ შემდეგი წინადადებები:

   ა. ყველაზე _____ ლოცვებში, ჩვენ მხოლოდ ღვთისადმი _____ და არა იმიტომ, რომ ჩვენ გვეშინია მისი ან _____ , ან _____ და _____ ვიმედოვნებთ.

   ბ. როცა ჩვენ მეორე _____ ჩვენ არ, _____ არ ვახსენოთ ჩვენი _____ _____ . რამდენადვე _____ ღმერთზე _____ ადამიანისთვის _____ სახელის _____ თავშეკავება.

   გ. სულიერი ადამიანი ვერაფერში _____ პოულობს _____ ღმერთის_____ გარდა.

2. რატომ ვლოცულობთ? _____

_____

3. რას ნიშნავს ფრაზა „ღმერთის მოხსენიება“? _____

_____

4. როგორია ყველაზე მწველი სურვილი ადამიანისა, რომელსაც უყვარს მეორე ადამიანი? _____

_____

5. საიდან ჩნდება ლოცვის სურვილი? _____

_____

განყოფილება 4

ლოცვაში, რომელიც ბაჰაულამ გაამჟღავნა, ჩვენ ვკითხულობთ:

„მე გევედრები... რომ ლოცვა ჩემი, ცეცხლად აქციო, რომელიც დაწვავს რიდეს, შენს სილამაზეს რომ მიფარავს; და სინათლედ შენი თანდასწრების ოკეანისკენ რომ გამიძღვება.“[9]

იმავე ლოცვაში ჩვენ ღმერთს ვთხოვთ:

„აქციე ჩემი ლოცვა, უფალო ჩემო, უკვდავების წყაროდ, რომლის მეოხებითაც ვიცხოვრებ იქამდე, სანამ შენი უზენაესობა იარსებებს და შენ სამყაროთა ყოველ სამყაროში, აღავლენ შენს ხსენებებს.“[10]

1. რა გაგებით შეიძლება იქცეს ლოცვა ცეცხლად? რას წვავს იგი? _____

_____

2. დაასახელეთ რამდენიმე რიდე, რომელიც ღმერთისგან გვიფარავს? _____

_____

_____

3. შეიძლება ლოცვა ჰგავდეს სანთელს? საითკენ მიგვიძღვის ის? _____

_____

_____

4. შეიძლება ლოცვა ჰგავდეს უკვდავების წყაროს? რას ანიჭებს იგი ჩვენს სულებს?

_____

_____

_____

განყოფილება 5

წაიკითხეთ და იმსჯელეთ აბდულ-ბაჰას შემდეგ სიტყვებზე:

„არაფერია ლოცვაზე უტკბესი არსებობის სამყაროში. ადამიანი ლოცვის მდგომარეობაში უნდა ცხოვრობდეს. ყველაზე კურთხეული მდგომარეობა არის ლოცვის და ვედრების მდგომარეობა. ლოცვა – არის ღმერთთან საუბარი. უმაღლესი მიღწევა ან უტკბესი მდგომარეობა – არის სხვა არაფერი, თუ არა ღმერთთან საუბარი. ის ქმნის სულიერებას, ავითარებს ღრმა აზროვნებას და ზეციურ გრძნობებს, წარმოშობს საუფლოსადმი მიზიდულობას და აღქმას უფრო მაღალ ინტელექტუალურ საფეხურზე.“[11]

1. რომელი მდგომარეობა არის უტკბესი არსებობის სამყაროში? _____

   _____

2. რას ნიშნავს ფრაზა „ლოცვითი მდგომარეობა“? _____

   _____

   _____

3. ჩამოთვალეთ რამდენიმე მდგომარეობა, რომელსაც ქმნის ლოცვა? _____

   _____

   _____

4. გადახედეთ ამ რამდენიმე განყოფილებაში თქვენ მიერ შესწავლილ ციტატებს და დაწერეთ ხუთი ფრაზა ლოცვის არსზე.

   – ლოცვა არის_____

   – ლოცვა არის_____

   – ლოცვა არის_____

   – ლოცვა არის _____

   – ლოცვა არის_____

განყოფილება 6

წაიკითხეთ ბაჰაულას შემდეგი სიტყვები და იფიქრეთ მათზე:

„იგალობე მსახურო ჩემო, შენთვის ბოძებული ტაეპები ღვთისა, ისევე, როგორც გალობდნენ ისინი, ვინც მას მიუახლოვდა; წარმოთქვამდე, რათა შენმა ტკბილხმოვანებამ შენივ სული აღანთოს და მიიზიდოს გულნი ყოველთა სხვათა. უკეთუ ვინმე თვისი სენაკის მარტოობაში წარმოსთქვამს თვით გამჟღავნებულ ტაეპებს, მოფარფატე ანგელოზები ყოვლისშემძლისა შორს გაფანტავენ მის ბაგეთაგან წამოთქმული სიტყვების სურნელს და ყოველი მართალი კაცის გულს თრთოლვით ააძგერებენ. თუმც, შესაძლოა მან, თავდაპირველად ვერც კი იგრძნოს ძალა ამ სიტყვებისა, მაგრამ მასზედ გარდმოსული მადლი ადრე თუ გვიან კვალს დაამჩნევს მისსავე სულს. ამგვარად იქნა დადგენილი საიდუმლო ღვთის გამოცხადებისა, ნება მისითა, რომელ არს წყარო ძლიერებისა და სიბრძნისა.“[12]

1. რას ნიშნავს სიტყვა „გალობა“? _____
_____

2. როგორ უნდა ვიგალობოთ ტაეპები ღვთისა? _____
_____
_____
_____

3. რას ნიშნავს სიტყვა „წარმოთქვა“? _____
_____

4. რას ნიშნავს სიტყვა „გაფანტო“? _____
_____

5. რა გავლენა ექნება ჩვენ ტკბილხმოვანებას ჩვენს სულებზე? _____
_____

6. რა გავლენა ექნება ჩვენ ტკბილხმოვანებას სხვათა გულზე? _____
_____
_____

განყოფილება 7

თქვენ შესაძლოა სურვილი გქონდეთ დაიმახსოვროთ ორი ნაკვეთი ლოცვიდან, რომელიც მოვლენილია ბაჰაულას მიერ:

„ო ღმერთო, ჩემო ღმერთო! ნუ მიიღებ სათვალავში ჩემს იმედებსა და საქმეებს, არამედ მიჰყევ შენს ნებას, რომელმაც მოიცვა ცა და დედამიწა. შენს უდიდებულესი სახელით, ჰოი, შენ ხალხთა მეუფევ! მე მსურს მხოლოდ ის, რაც შენ გწადია და მიყვარს მხოლოდ ის, რაც შენ შეგიყვარდა.“[13]

„ძალზედ ამაღლებული ხარ შენ, შენთან მოახლოვებულთა ხოტბისგან, რათა შენი სიახლოვის ზეცას ასწვდეს იგი, ან შენთვის თავდადებულთა გულების ჩიტებისათვის შენი ალაყაფის კარებს მიაღწიონ. მე ვადასტურებ, რომ ყველა სახელზე უწმინდესი ხარ. არ არს სხვა ღმერთი, შენს გარდა, ყველაზე ამაღლებული, უდიდებულესი.“[14]

განყოფილება 8

აბდულ-ბაჰა აცხადებს:

„მსახურმა უნდა ილოცოს და შესთხოვოს დახმარება ღმერთს, ასევე სთხოვოს და ევედროს მას მხარდაჭერაზე. ეს შეესაბამება მსახურების მდგომარეობას და უფალი ბრძანებს, რასაც მოისურვებს თავისი სრულყოფილი სიბრძნის შესაბამისად.“[15]

და ის განმარტავს:

„სული აღჭურვილია გავლენის უნარით; ლოცვა ფლობს უნარს სულიერი ზემოქმედებისა. ამიტომაც ჩვენ ვევედრებით: „ო ღმერთო! განკურნე ეს ავადმყოფი!“ შესაძლოა, ღმერთმა გვიპასუხოს. განა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ ლოცულობს? ღმერთი უპასუხებს ყოველი მისი მსახურის ლოცვას, თუ ეს ლოცვა გამოწვეულია უკიდურესი აუცილებლობით. მისი წყალობა ყოვლისმომცველი და უსაზღვროა. ის ყველა მისი მსახურის ლოცვას პასუხობს. ის პასუხობს ამ მცენარის ლოცვასაც კი. მცენარე პოტენციალურად ლოცულობს: „ო ღმერთო! გამომიგზავნე წვიმა!“ ღმერთი პასუხობს მის ლოცვას და მცენარე იზრდება. ღმერთი ყველას პასუხობს.“[16]

ბუნებრივია ჩვენს ლოცვებში ჩვენ შევთხოვთ ღმერთს დააკმაყოფილოს ჩვენი საჭიროებანი, ამრიგად ჩვენ ვლოცულობთ ჩვენი და ჩვენი ახლობლების ჯანმრთელობისათვის, ჩვენ ვლოცულობთ ჩვენი ოჯახების სულიერი და მატერიალური პროგრესისთვის, ასევე ხელმძღვანელობისთვის. ჩვენ შევთხოვთ ძალას, რწმენას და დადასტურებას მსახურების გზაზე. ღმერთისადმი ლოცვისას, ჩვენ რა თქმა უნდა, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მიზანი ცხოვრებაში – ჩვენი ნების უფლის ნებისადმი თანხვედრაა. ამიტომ ჩვენ უნდა ვილოცოთ იმაზე, რომ აღსრულდეს მისი ნება და ვიყოთ მზად მისდამი მორჩილებაში. თუ თქვენ დაიმახსოვრებთ აბდულ-ბაჰას შემდეგ სიტყვებს, ისინი ყოველთვის დაგეხმარებათ გახდეს თქვენთვის წყარო სიხარულისა და დარწმუნების:

„ჰოი შენ, შენი სახის ღმერთზე მიმპყრობო! განაშორე მზერა შენი ამ სამყაროს საგანთ და მიმართე ის განდიდებულის მეუფებას, სთხოვე ყველაფერი, რაც შენ გსურს, მხოლოდ ერთს მას; ეძიე ყველაფერი, რასაც შენ ეძებ, მხოლოდ ერთ მასთან. ერთი შეხედვით განახორციელებს ის ასი ათას იმედს, ერთი მზერით კურნავს ის ასი ათას მომაკვდინებელ დაავადებას. წამწამთა რხევით

> **კურნავს ის ყოველ ჭრილობას, სწრაფი თვალმოვლებით ათავისუფლებს ის გულებს შემბოჭველი განცდებისგან. ის ქმნის, როგორც მას სურს, ვისზე უნდა დავიმედდეთ ჩვენ? ის ასრულებს თავის ნებას, ის ქმნის, როგორც მოისურვებს. განა უმჯობესი არ არის შენთვის დახარო თავი მორჩილებაში და მთლიანად მიენდო გულმოწყალე უფალს.“[17]**

განყოფილება 9

იქიდან, რაც აქამდე შევისწავლეთ, ნათელია, რომ ლოცვისას, უფლისადმი მიმართვა – სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებაა სულიერი ცხოვრებისა. რამდენად განსაკუთრებულად სასურველია უფლისადმი ლოცვა მალევე გამოღვიძების შემდეგ დილით და ღამით, ძილის წინ. დრო, რომელსაც ვატარებთ ლოცვისას ყოველ დღე და ლოცვების რაოდენობა, რომლებსაც წარმოვთქვამთ, დამოკიდებულია ჩვენს მოთხოვნილებებსა და სულიერ წყურვილზე. ყოველ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ მრავალი ლოცვიდან, მოვლენილს ბაჰაულას, ბაბისა და აბდულ-ბაჰას მიერ. ამასთანავე ბაჰაულამ გაამჟღავნა სამი ყოველდღიური სავალდებულო ლოცვა. შოღი ეფენდი ამბობს:

> **“„ყოველდღიური სავალდებულო ლოცვა სამია. მათგან უმოკლესი მხოლოდ ერთი ტაეპია, რომელიც ოცდაოთხ საათში ერთხელ, შუადღისას უნდა წარმოითქვას. საშუალო ლოცვა დღეში სამჯერ წარმოითქმება: დილით, შუადღეს და საღამოს. ვრცელი ლოცვა – რომელიც ამ სამიდან უფრო რთულია – ყოველ ოცდაოთხსაათში ერთხელ, დღის ნებისმიერ დროს შეიძლება წარმოვთქვათ, როცა ადამიანი იგრძნობს მის მოთხოვნილებას.**
>
> **მორწმუნე სავსებით თავისუფალია ამ სამი ლოცვიდან ერთ-ერთის არჩევაში, მაგრამ იგი ვალდებულია ყოველდღე წარმოთქვას მათ შორის ერთი ნებისმიერი მაინც, იმ სპეციალური მითითეთების შესაბამისად, რომელიც ამ ლოცვას ახლავს.“[18]**

შემდეგ ის წერს:

> **„ეს ყოველდღიური სავალდებულო ლოცვები რამდენიმე სხვა სპეციალურთან ერთად, როგორიცაა ლოცვა განკურნებისათვის და ეპისტოლე აჰმადს, ბაჰაულას მიერ აღჭურვილი იყო განსაკუთრებული ძალითა და მნიშვნელობით, ამიტომ ასეთადაც უნდა იყოს მიღებული და მორწმუნეებმა ისინი უნდა წარმოსთქვან ურყევი რწმენითა და დაჯერებით, რათა მათი საშუალებით შეძლონ ღმერთთან უფრო ახლო საუბარი, სრულად დაიცვან მისი კანონები და დარიგებები.“[19]**

სამი სავალდებულო ლოცვა, მოვლენილი ბაჰაულას მიერ, წარმოითქმება ინდივიდუალურად. ბაჰაი რწმენაში არ არის სამრევლო ლოცვა, როდესაც ყოველდღიური სავალდებულო ლოცვა მეორდება ჯგუფში განსაზღვრულ რიტუალთან შესაბამისად. მიცვალებულისთვის ლოცვა – ერთადერთია საერთო ლოცვაა, დაწესებული ბაჰაი კანონის მიხედვით. ის უნდა წაკითხული იყოს დაკრძალვის წინ ერთ-ერთი დამსწრეს მიერ, მაშინ როცა სხვები ჩუმად დგანან.

1. რას ნიშნავს სიტყვა „სავალდებულო“? _____
_____

2. რამდენი ყოველდღიური სავალდებულო ლოცვა გაამჟღავნა ბაჰაულამ? __
_____

3. საჭიროა, თუ არა ყოველდღიურად სამივე სავალდებულო ლოცვის წარმოთქმა? _____

4. თუ ჩვენ ავირჩიეთ ვრცელი სავალდებულო ლოცვა, დღეში რამდენჯერ უნდა წავიკითხოთ? _____

5. რამდენჯერ უნდა წავიკითხოთ საშუალო სავალდებულო ლოცვა? _____

6. რამდენჯერ უნდა წავიკითხოთ მოკლე სავალდებულო ლოცვა? _____

7. დაასახელეთ განსაკუთრებული ძალის მქონე რამდენიმე ლოცვა: _____
_____
_____

8. დაიმახსოვრეთ, თუ აქამდე არ გისწავლიათ მოკლე სავალდებულო ლოცვა:

„ვადასტურებ უფალო, რომ შენ შემქმენი, რათა შეგიცნო და თაყვანი გცე. ვადასტურებ ამ წუთში ჩემს უძლურებას და შენს ძლევამოსილებას, ჩემს სიღატაკეს და შენს სიმდიდრეს.

არ არს სხვა ღმერთი შენს გარდა, მფარველისა, თვითარსისა.“[20]

9. რას ვადასტურებთ ჩვენ ამ ლოცვაში? _____
_____
_____
_____

განყოფილება 10

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ იმ კურთხევებზე დამატებით, რომლებსაც ვღებულობთ სავალდებულო ლოცვაზე დამორჩილებაში, ასევე შეწევნას მიღებულს სხვა ლოცვების ინდივიდუალურად წარმოთქმისას. ჩვენი სულები მაღლდება, როცა გვესმის თუ როგორ წარმოითქმება ლოცვები დიდსა თუ პატარა შეხვედრებზე. ბაჰაულა გვეუბნება:

„შეიკრიბეთ ერთად უდიდესი სიხარულითა და მეგობრობით და იკითხეთ ლექსები, მოვლენილი გულმოწყალე მეუფის მიერ, ამის წყალობით ჭეშმარიტი ცოდნის კარიბჭე გაიღება თქვენი შინაგანი არსობის წინაშე და თქვენ იგრძნობთ, რომ თქვენი სულები აღსავსეა სიმტკიცით, ხოლო თქვენი გულები ბრწყინვალე სიხარულით.“[21]

ჩვენ ყველანი უდიდეს სიხარულს ვღებულობთ იმის შეცნობიდან, რომ ლოცვითი შეხვედრები, რომლებზეც მეგობრები ერთად იკრიბებიან, რათა ესაუბრონ ღმერთს, იზრდება ათასჯერ, მთელს მსოფლიოში. სამართლიანობის მსოფლიო სახლი წერს:

„ლოცვითი შეხვედრები – არის მოვლენა, სადაც შეუძლია შევიდეს ნებისმიერ სულს, შეისუნთქოს ზეციური კეთილსურნელება, შეიგრძნოს აღმშენებლობით სიტყვა, აფრინდეს სულის ფრთებით და ესაუბროს შეყვარებულს. აქ იბადება გრძნობა მეგობრობისა და საერთო საქმისა, განსაკუთრებით სულიერად ამაღლებულ საუბრებში, რომლებიც ბუნებრივად წარმოიშვება ასეთ მომენტებში და რომლებითაც „ქალაქი ადამიანის გულისა“ შეიძლება იყოს გაღებული.“[22]

როდესაც ჩვენ შევიგრძნობთ ლოცვის სურვილს, მცირე დროით ვიმყოფებით სიმშვიდეში, რათა გავწმინდოთ ჩვენი გონება ყოველივე მიწიერისგან. ლოცვის დროს ჩვენს ფიქრებს ვამახვილებთ უფალზე. ლოცვის წაკითხვის შემდეგ, რაღაც დროით ჩუმად ვართ და სწრაფად არ გადავდივართ სხვა საქმიანობაზე. ეს ასევე მისაღებია, როდესაც ვუსმენთ სხვა ადამიანებს ლოცვით შეხვედრებზე. ასეთ შემთხვევებში ვინარჩუნებთ ლოცვით დამოკიდებულებას და ყურადღებით ვისმენთ სიტყვებს, თითქოს მათ ჩვენ ვკითხულობდეთ.

1. როგორი სულით ვიკრიბებით ერთად, რათა წავიკითხოთ უფლის ლექსები?

   _____

   _____

2. როგორი იქნება ჩვენი ერთობლივი შეხვედრების ზემოქმედება, თუ ჩვენ წავიკითხავთ უფლის ლექსებს? _____

   _____

   _____

   _____

3. ლოცვითი შეხვედრები – არის შემთხვევები, როცა ნებისმიერი სული შეძლებს

   – _____ ,

   – _____ ,

   – _____ ,

   – _____ ,

– _____ , და

– _____ .

4. როგორი გრძნობები იბადება ლოცვით შეხვედრებზე? _____

_____

5. როგორ ზემოქმედებას ახდენს სულიერად ამაღლებული საუბრები, რომლებიც ბუნებრივად წარმოიშვება ლოცვით შეხვედრებზე? _____

_____

6. იდაწერეთ რამდენიმე სიტყვა პატივსაცემ დამოკიდებულებაზე, რომელიც უნდა გამოვავლინოთ ლოცვების კითხვისას, მარტოდ ყოფნისა თუ შეხვედრის დროს.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

განყოფილება 11

ამ წიგნის პირველი ნაწილი მიეძღვნა წმინდა ნაწერებიდან ციტატების კითხვისა და მათი გააზრების უნარ-ჩვევას ყოველ დღე. აქ თქვენ შეგიძლიათ იმსჯელოთ ლოცვის მნიშვნელობაზე და შედეგად, განამტკიცოთ ყოველდღიური ლოცვის უნარი. წინა განყოფილებაში თქვენ ყურადღება მიაქციეთ საერთო ლოცვის მნიშვნელობას. ყველაფერმა, რაც აქამდე შეისწავლეთ, მოგამზადათ თქვენ იმისათვის, რათა გადაგედგათ პირველი ნაბიჯი მსახურების გზაზე: ლოცვითი შეხვედრების ჩატარება.

საწყისი ნაბიჯისთვის შეგიძლიათ შეისწავლოთ რამდენიმე ლოცვა და გამონახოთ შესაძლებლობა გაუზიაროთ ის რამდენიმე მეგობარს. იმავე დროს თქვენ შეგიძლიათ იზრუნოთ იმაზე, რომ დაესწროთ თუნდაც ერთ ლოცვით შეხვედრას თქვენს თემში და გახდეთ აქტიური მიმდევარი. ამრიგად დროთა განმავლობაში თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ გადაწყვეტილება, რომ დამოუკიდებლად ჩაატაროთ ლოცვითი შეხვედრები. მიიწვიოთ თქვენი მეგობრები, ოჯახის წევრები და მეზობლები, რეგულარულად შეიკრიბოთ ლოცვისა და ურთიერთობისთვის მეგობრობის სულით. ხშირად ამ კურსის ორი ან სამი მონაწილე იწყებს მსგავსი შეხვედრების ერთად მოწყობას.

როგორც ხვდებით, არ არსებობს ფორმულა იმისათვის, თუ როგორ მოაწყოთ ლოცვითი შეხვედრა. მაგრამ ცხადია, რომ ის მეგობრების შეხვედრაა, სადაც აღევლინება ლოცვები, იკითხება ნაწყვეტები წმინდა ნაწერებიდან და მიმდინარეობს ამაღლებული საუბრები. ყველაფერი განსაკუთრებულად ამაღლებულ ატმოსფეროში. თქვით რამდენიმე სიტყვა ყოველ შემდეგ იდეასთან დაკავშირებით.

მოიწვიოთ სითბოთი და სიყვარულით: _____

_____

_____

_____

შექმნათ სტუმართმოყვარე გარემო: _____

_____

_____

_____

შეინარჩუნოთ პატივსაცემი ატმოსფერო: _____

_____

_____

_____

ხელი შეუწყოთ სასიხარულო მეგობრული გარემოს შექმნას: _____

_____

_____

_____

შეაგულიანოთ სულიერად ამაღლებული საუბარი: _____

_____

_____

_____

ბიბლიოგრაფია

1. *ბაჰაულა, მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიბრძნე (თბილისი 1999),* XLIII par. 4, გვ. 65. (ეს ციტატა აღებულია ქართული გამოცემის წიგნიდან, იქნა გადამოწმებული და შეტანილი რამდენიმე ცვლილება ამ სწავლის წიგნისთვის. (თ. ჩ.)

2. Bahá'u'lláh, in *Trustworthiness: A Compilation of Extracts from the Bahá'í Writings*, compiled by the Research Department of the Universal House of Justice (London: Bahá'í Publishing Trust, 1987), no. 21, p. 5.

3. *The Call of the Divine Beloved: Selected Mystical Works of Bahá'u'lláh*(Haifa: Bahá'í World Centre, 2018), no. 2.43, p. 31.

4. From a talk given on 5 May 1912, published in *The Promulgation of Universal Peace: Talks Delivered by 'Abdu'l-Bahá during His Visit to the United States and Canada in 1912* (Wilmette: Bahá'í Publishing, 2012), p. 127.

5. ბაჰაულა, იდუმალი სიტყვები, არაბულიდან № 13, გვ. 11.

6. From a letter dated 8 December 1935 written on behalf of Shoghi Effendi, published in *Prayer and Devotional Life: A Compilation of Extracts from the Writings of Bahá'u'lláh, the Báb, and 'Abdu'l-Bahá and the Letters of Shoghi Effendi and the Universal House of Justice*, compiled by the Research Department of the Universal House of Justice (Wilmette: Bahá'í Publishing, 2019), no. 71, p. 31.

7. Words of 'Abdu'l-Bahá, cited by J. E. Esslemont, *Bahá'u'lláh and the New Era: An Introduction to the Bahá'í Faith* (Wilmette: Bahá'í Publishing, 2006, 2017 printing), p. 106.

8. Ibid.

9. Bahá'u'lláh, in *Bahá'í Prayers: A Selection of Prayers Revealed by Bahá'u'lláh, the Báb, and 'Abdu'l-Bahá* (Wilmette: Bahá'í Publishing Trust, 2002, 2017 printing), pp. 7–8.

10. Ibid., p. 9.

11. Words of 'Abdu'l-Bahá, cited in *Star of the West*, vol. 8, no. 4 (17 May 1917), p. 41.

12. *ბაჰაულა, მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიბრძნე (თბილისი 1999),*CXXXVI par. 4, გვ. 183.

13. Bahá'u'lláh, in *Bahá'í Prayers*, pp. 8–9.

14. Ibid., p. 12.

15. 'Abdu'l-Bahá, in *Prayer and Devotional Life*, no. 24, p. 7.

16. From a talk given by ‘Abdu’l-Bahá on 5 August 1912, published in *The Promulgation of Universal Peace*, p. 345.

17. *Selections from the Writings of ‘Abdu’l-Bahá* (Wilmette: Bahá’í Publishing, 2010, 2015 printing), no. 22.1, pp. 75–76.

18. From a letter dated 10 January 1936 written on behalf of Shoghi Effendi, published in *Prayer and Devotional Life*, no. 61, p. 25.

19. From a letter dated 10 January 1936 written on behalf of Shoghi Effendi, quoted in *Bahá’í Prayers*, p. 301.

20. Bahá’u’lláh, in *Bahá’í Prayers*, p. 4.

21. Bahá’u’lláh, in *Prayer and Devotional Life*, no. 68, p. 29.

22. From a message dated 29 December 2015, published in *Framework for Action: Selected Messages of the Universal House of Justice and Supplementary Material, 2006–2016* (West Palm Beach: Palabra Publications, 2017), no. 35.49, p. 232.

სიცოცხლე და სიკვდილი

მიზანი

გაცნობიერება იმისა, რომ სიცოცხლე – არის
არა მხოლოდამა სამყაროს ბედისწერა და
მკვეთრი ცვლილებები,მისი ჭეშმარიტი
მნიშვნელობა მდგომარეობსსულის
განვითარებაში

განყოფილება 1

ადამიანის სული ამაღლებულია ფიზიკურ სამყაროსა და მატერიაზე. ერთ-ერთ თავის საუბარში, აბდულ-ბაჰა განმარტავს:

„მატერიალური სხეულები შედგება ატომებისგან, როდესაც ატომები იწყებენ დაყოფას, იწყება დაშლა, შემდეგ კი ხდება ის, რასაც ვუწოდებთ სიკვდილს....

სულთან დაკავშირებით ყველაფერი სხვაგვარადაა. სული – არ არის ელემენტთა კომბინაცია, ის არ შედგება მრავალი ატომისგან, ის არის ერთი განუყოფელი სუბსტანცია, ამიტომ ის საერთოდ არ ეკუთვნის ფიზიკურ ქმნილებას, ის უკვდავია!“[1]

1. რას ნიშნავს „შედგება“? _____

2. შედგება თუ არა ადამიანის სული სხვადასხვა ელემენტისგან, ისევე როგორც მატერიალური სხეულები? _____

3. არის თუ არა ადამიანის სული ფიზიკური სუბსტანცია? _____

განყოფილება 2

მფარველის მიერ დაწერილ წერილში ნათქვამია, რომ „ადამიანის სული წარმოიშობა ჩასახვის დროს“.[2] სიტყვა „ჩასახვა“-სთან დაკავშირებით სამართლიანობის მსოფლიო სახლი აღნიშნავს:

„ბაჰაი ნაწერებში არ არის ნაპოვნი არაფერი, რაც ზუსტად განსაზღვრავდა ბიოლოგიურ მომენტსა თუ ბუნებას მოვლენისა, აღწერილს როგორც ‘ჩასახვა’. ტერმინის გამოყენება სამედიცინო კონტექსტით ასევე არ არის ზუსტი. მართლაც, ჩასახვის ერთი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ემთხვევა განაყოფიერების მომენტს და მეორე, რომ ეს ხდება განაყოფიერებისა და იმპლანტაციის შემდეგ ორსულობის დადგომისას. ამრიგად შეუძლებელია იმის გაგება, თუ როდის იწყება სულის ურთიერთქმედება მატერიალურ ფორმასთან და ასეთი საკითხები შეუძლებელია გადაწყდეს ადამიანის გონების ძალით ან გამოკვლევით, რადგანაც ისინი ეხება სულიერი სამყაროს საიდუმლოებებს და თვით სულის ბუნებას.“[2]

1. როდის წარმოიშობა ადამიანის სული? _____

   _____

2. აღწერს თუ არა ტერმინი „ჩასახვა“ ზუსტ ბიოლოგიურ მომენტს? _____

განყოფილება 3

სულსა და სხეულს შორის დამოკიდებულება არა მატერიალურია; სული არ შედის სხეულში, არ ტოვებს მას და არ იკავებს ფიზიკურ სივრცეს. მისი დამოკიდებულება სხეულთან მსგავსია შუქის კავშირისა სარკესთან, რომელიც აირეკლავს მას. შუქი, რომელიც მოსჩანს სარკეში, არ იმყოფება მის შიგნით. ზუსტად ასე, სული არ იმყოფება სხეულში. როგორც აბდულ-ბაჰა განმარტავს:

> **„გონით დაჯილდოვებული სული, მხედველობაში გვაქვს ადამიანური სული, არ ჩადის სხეულში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ შედის სხეულში, რამეთუ ჩამოსვლა და შესვლა სხეულთა ფიზიკური დახასიათებებია, და სულისადმი მიუყენებელი. სული არასოდეს არ შესულა ამ სხეულში, და როდესაც იგი დასტოვებს მას, მაშინ დასჭირდება რაღაც ადგილსამყოფელი: არა, სული დაკავშირებულია სხეულთან მსგავსად იმისა, როგორც სინათლე ამ სარკესთან. თუკი სარკე სუფთაა და მისი ზედაპირი წუნდაუდებელი, ლამპრის სინათლე იკაშკაშებს მასში, მაგრამ თუკი სარკე მტვრით არის დაფარული, ან დამსკდარია, მაშინ მასში სინათლე აღარ აირეკლება.““[3]**

1. შეავსეთ ცარიელი ადგილები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

   ა. გონით დაჯილდოვებული სული, მხედველობაში გვაქვს _____, არ ჩადის სხეულში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ _____ სხეულში.

   ბ. _____, მხედველობაში გვაქვს ადამიანური სული, არ შეიდს სხეულში, რამეთუ ჩამოსვლა და შესვლა _____, და სულისადმი _____.

   გ. სული არასოდეს _____ და როდესაც იგი დასტოვებს მას, მაშინ დასჭირდება რაღაც _____ .

   დ. დამოკიდებულება სულსა და სხეულს შორის ისეთივეა, როგორც დამოკიდებულება _____ .

   ე. თუ სარკე სუფთაა და მისი ზედაპირი წუნდაუდებელი, _____ _____ იკაშკაშებს მასში.

   ვ. თუ სარკე მტვრით არის დაფარული, ან დამსკდარია, მაშინ მასში _____ _____ .

2. იმის საფუძველზე, რაც აქამდე შევისწავლეთ, განსაზღვრეთ, მართებულია თუ არა შემდეგი გამონათქვამები:

   _____ სული არ მიეკუთვნება ფიზიკურ სამყაროს.

   _____ სული არის სხეულის შიგნით.

   _____ სხეული სულის მესაკუთრეა.

_____ სული უკვდავია.

_____ ადამიანის არსი წარმოიშობა მაშინ, როცა ჩნდება კავშირი სულსა და ჩანასახს შორის.

_____ სიცოცხლე იწყება, როცა ინდივიდი იბადება ამ სამყაროში.

_____ ადამიანის მატერიალური არსებობა გრძელდება სიკვდილის შემდეგ.

_____ სიცოცხლე შედგება იმისაგან, რაც ყოველდღიურად ხდება.

3. ისარგებლეთ სინათლისა და სარკის შედარებით იმისათვის, რომ აღწეროთ დამოკიდებულება სულსა და სხეულს შორის: _____

_____

_____

_____

_____

განყოფილება 4

სულსა და სხეულს შორის, რომლებიც ერთად ქმნიან ადამიანს, არსებობს განსაკუთრებული დამოკიდებულება. ის გრძელდება მხოლოდ მიწიერი ცხოვრების განმავლობაში. როცა ეს დამოკიდებულება წყდება, ყოველი უბრუნდება თავის საწყისს - სხეული მიწის სამყაროს, სული - კი უფლის სულიერ სამყაროებს, სადაც ის განაგრძობს განვითარებას. აბდულ-ბაჰა აცხადებს:

„ადამიანის სულს აქვს დასაბამი, მაგრამ იგი უსასრულოა; იგი ცხოვრობს მარადიულად.“[4]

ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ის განმარტავს:

„სული არ საჭიროებს სხეულს, მაგრამ სხეულს სჭირდება სული, სხვაგვარად ის ვერ შეძლებს არსებობას. სულს შეუძლია იცხოვროს სხეულის გარეშე, მაგრამ სხეული სულის გარეშე კვდება.“[5]

და მფარველი განმარტავს:

„რაც შეეხება ადამიანის სულს, ბაჰაი სწავლების თანახმად, ადამიანის სულის სიცოცხლე იწყება ადამიანის ჩანასახის ჩამოყალიბებიდან და განაგრძობს განვითარებას სხეულთან განშორების შემდეგ. ამგვარად, მისი განვითარება უსასრულოა.“[6]

1. ზემოთ მოყვანილი ციტატების დამახსოვრებით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

   ა. სჭირდება თუ არა სხეულს სული?_____

ბ. სჭირდება თუ არა სულს სხეული? _____

გ. რა ემართება კავშირს სხეულსა და სულს შორის, როდესაც ჩვენ გარდავიცვლებით? _____

_____

დ. რა ემართება სულს გარდაცვალების შემდეგ? _____

_____

ე. რამდენად დიდხანს გრძელდება სულის განვითარება? _____

_____

ვ. როდის სრულდება სიცოცხლე? _____

_____

2. გადაწყვიტეთ, შემდეგ მტკიცებულებათაგან, რომელი ეთანხმება იმას, რაც ჩვენ შევისწავლეთ წინა განყოფილებაში:

_____ სიკვდილი სასჯელია

_____ სულსა და სხეულს შორის დამოკიდებულება გრძელდება მხოლოდ მიწიერი ცხოვრების განმავლობაში.

_____ სხეულს შეუძლია მარადიული პროგრესი.

_____ სული ვითარდება მარადიულად.

_____ სიკვდილი სიცოცხლის დასასრულია.

_____ სამსჯავროს დღე დადგება, როცა ჩვენი სხეულები აღსდგება.

_____ სიკვდილის შემდეგ სულს აქვს მეტი თავისუფლება, ვიდრე ადრე ჰქონდა.

_____ სიცოცხლე სრულდება სიკვდილით.

_____ ჩვენ უნდა გვეშინოდეს სიკვდილის.

_____ საკვები, ტანსაცმელი, დასვენება და გართობა აუცილებელია სულისათვის.

_____ სული იღლება, როცა სხეული უძლურდება.

_____ სული არ ექვემდებარება სნეულებებს ან სისუსტეებს სხეულისა.

_____ ადამიანს ისევ ექნება ფიზიკური მოთხოვნილებები სიკვდილის შემდეგ.

განყოფილება 5

ჩვენ ვნახეთ, რომ სული არ იკავებს ფიზიკურ სივრცეს და არ მოქმედებს ბუნების კანონების შესაბამისად, საპირისპიროდ მატერიალური არსებებისა. სული

ახდენს გავლენას სამყაროში სხეულის საშუალებით, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი გზა, რომლის მეშვეობითაც სული ავლენს თავის ძალას. ბაჰაულა აცხადებს:

„ჭეშმარიტებას გეუბნებით: ადამიანის სული ყოველგვარ აღმავლობასა თუ დაღმავლობაზე მაღლა დგას. ის მშვიდია, წყნარი და ამავე დროს ჰაერშიც დანავარდობს; მოძრაობს და იმავ დროულად უძრავია."[7]

და აბდულ-ბაჰა გვეუბნება:

„უწყოდეთ, რომ ადამიანის სული ფლობს შეცნობის ორ განსხვავებულ შესაძლებობასა და უნარს – ეს არის აღქმის ორი განსხვავებული ხერხი და ორი გზა. შეცნობის ერთ-ერთი ხერხი ხორციელდება ინსტრუმენტებისა და ორგანოთა გამოყენებით: ასე მაგალითად, თვალის დახმარებით ადამიანი ხედავს, ყურის დახმარებით ესმის, ენის დახმარებით ლაპარაკობს....

სულის შესაძლებლობათა და მოქმედებების გამოვლენის მეორე სახე ხორციელდება ინსტრუმენტებისა და ორგანოთა დახმარების გარეშე."[8]

1. შეავსეთ ცარიელი ველები შემდეგ წინადადებებში:

   ა. ადამიანის სული ყოველგვარ _____ თუ _____ მაღლა დგას.

   ბ. ის _____ , _____ და ამავე დროს _____ .

   გ. ის _____ , და იმავე დროულად _____ .

2. აღწერეთ ორი გზა, რომლითაც სული აღიქვამს და ახდენს გავლენას ამ სამყაროში: _____
   _____
   _____
   _____

3. შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები სულის გავლენასა და მოქმედებაზე სხეულის ინსტრუმენტების გარეშე?
   _____
   _____
   _____
   _____

განყოფილება 6

ახლა, წინა განყოფილებების განხილვის ფონზე, წაიკითხეთ შემდეგი მონაკვეთი ბაჰაულას ნაწერებიდან:

„იცოდე, სული კაცისა გაცილებით ამაღლებულია და არ არის დამოკიდებული სხეულისა თუ გონების სისუსტესა და უძლურებაზე. ავადმყოფი ადამიანი რომ უძლურების ნიშნებს ამჟღავნებს, ეს იმ დაბრკოლებათა ბრალია, რომლებიც მის სულს და სხეულს შორის დგება, რადგან თავად სულზე არ ახდენს ზეგავლენას სხეულის ტკივილი. დააკვირდით ნათელს ლამპრისა: თუმცა მისგან მომავალი შუქის გზაზე შეიძლება უცხო საგანი გაჩნდეს, თავად სინათლე დაუცხრობელი ძალით აგრძელებს ნათებას. სწორედ ასევე, ყოველი სენი, სხეულს რომ სტანჯავს, დაბრკოლებას წარმოადგენს, რომელიც ხელს უშლის სულს, გამოავლინოს თავისი შინაგანი ძალა და პოტენცია. მაგრამ როდესაც მას (სხეულს) ეყრება, სული ისეთი ზემოქმედების უნარს ამჟღავნებს, რომელსაც ქვეყნად ვერარა ძალა ვერ გაუტოლდება. ყოველი სუფთა, დახვეწილი და განწმენდილი სული უზარმაზარი ძლიერებით დაჯილდოვდება და მეტისმეტი სიხარულით გაიხარებს.“[9]

1. ახსენით თქვენი სიტყვებით, თუ როგორ არ არის დამოკიდებული სული სხეულისა და გონების სისუსტეებზე, და რა გახდება აშკარად მისი სხეულთან გაყრის შედეგად.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

2. შევინარჩუნებთ თუ არა ჩვენს ინდივიდუალობას ფიზიკური სხეულების გარდაცვალების შემდეგ? _____

განყოფილება 7

ბაჰაულა გვეუბნება:

„ახლა კი, რაც შეეხება საკითს ადამიანის სულის შესახებ, და მის ცხოველმყოფელობას სიკვდილის შემდგომ. იცოდეთ ჭეშმარიტება: სხეულთან გაყრის შემდეგ სული წინსვლას მანამ აგრძელებს, ვიდრე უფლის თანდასწრებას არ ეზიარება – მდგომარეობას, რომელსაც ვერც საუკუნეთა თუ ჟამთა ტრიალი და ვერც ქვეყნიერების შემთხვევითობანი ან ცვლილებები ვეღარ გარდაქმნის! ის იქნება მანამ, სანამ იარსებებს სასუფეველი ღვთისა, მისი უზენაესობა, მეუფება და ძალაუფლება. იგი წარმოაჩენს ნიშნებს თუ თვისებებს უფლისა და მის მზრუნველ სიკეთესა და სიუხვეს გამოამჟღავნებს.“[10]

1. რამდენ ხანს გააგრძელებს სული წინსვლას ფიზიკური სხეულის გარდაცვალების შემდეგ? _____

2. რა მდგომარეობაში განაგრძობს სული თავის მარადიულ მოგზაურობას ღმერთის თანდასწრებისკენ? _____
_____
_____

3. რომელია ზოგიერთი თვისებები და ნიშნები, რომელიც სული გამოავლენს ამ მდგომარეობში? _____
_____
_____

4. იმის საფუძველზე, რაც აქამდე შევისწავლეთ, განსაზღვრეთ რამდენად შეესაბამება შემდეგი ჭეშმარიტებას:

_____ სასუფეველი ღვთისა მარადიულია

_____ სულს გააჩნია ღმერთის თვისებების გამოხატვის უნარი.

_____ ლოცვები, რომლებსაც გარდაცვლილთათვის წარმოვთქვამთ, გავლენას არ ახდენს მათი სულის წინსვლაზე.

_____ სული არასოდეს წყვეტს არსებობას.

განყოფილება 8

ბაჰაულა აცხადებს:

"იცოდე: ყოველ მსმენელ ყურს, თუ ის სპეტაკი და შეურყვნელი დარჩა, ყოველთვის და ყველა მხრიდან ესმის ხმა, ამ წმინდა სიტყვებს რომ წარმოსთქვამს: „ჭეშმარიტად, ჩვენ ღვთისა ვართ და მასვე დავუბრუნდებით". ადამიანის ფიზიკური სიკვდილისა და მისი დაბრუნების საიდუმლო ჯერაც არ გაცხადებულა და კვლავ ამოუცნობი რჩება. . . .

"სიკვდილი ყოველ მტკიცე მორწმუნეს იმ ფიალას სთავაზობს, რომელიც სიცოცხლეა თავად. იგი ხალისს მატებს და სიხარულის მატარებელია. ის ანიჭებს საუკუნო სიცოცხლის ძღვენს.

"რაც შეეხება მათ, ვინც ადამიანთა მიწიერი არსებობის ნაყოფი იგემა, ანუ შეიცნო ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი – ამაღლდეს დიდება მისი – მათი იმქვეყნიური ცხოვრება ისეთია, რის აღწერაშიც უძლურნი ვართ. ამისი ცოდნა მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის – მეუფეს ყოველთა სამყაროთა."[11]

“|ძეო უზენაესისა! სიკვდილი სიხარულის მაცნედ დავაწესე შენთვის, მაშ, რატომ დარდობ მისი მოახლოებისას? სინათლე შევქმენი, მის ბრწყინვალებაში რომ გამეხვიე, რატომ ემალები მას?“[12]

1. შემდეგი მტკიცებულებებიდან რომელი არის სწორი?

   _____ ადამიანის სული მოდის უფლისგან და მასვე უბრუნდება.

   _____ ყოველი ცოდნა სიცოცხლეზე, სიკვდილის შემდეგ მხოლოდ უფალს ეკუთვნის.

   _____ ჭეშმარიტი მორწმუნისთვის სიკვდილი – სიცოცხლეა.

   _____ სიკვდილი – სიხარულის მაცნეა.

   _____ სიკვდილის საიდუმლო ყველასთვის არის ცნობილი.

   _____ ჩვენ უნდა დავაფასოთ სიცოცხლის ძღვენნი, მაგრამ არ შეგვეშინდეს სიკვდილის, რადგან ის არის მაცნე სიხარულის.

   _____ ჩვენთვის მნიშვნელოვანი არაა ვიცოდეთ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე.

2. ახლა კი, იმის გათვალისწინებით, რაც ჩვენ შევისწავლეთ ამ განყოფილებებში, დაწერეთ მოკლე ტექსტი სიცოცხლეზე, სიკვდილზე, სხეულსა და სულზე.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

განყოფილება 9

აბდულ-ბაჰა განმარტავს:

„თავისი ცხოვრების დასაწყისში ადამიანი იყო ჩანასახის მდგომარეობაში დედის სხეულში, სადაც ის ავითარებდა უნარებსა და ღირსებებს ამ სამყაროში წინსვლისათვის. ამ სამყაროსთვის აუცილებელი ძალები მან მოიპოვა იმ სამყაროში. ამ სამყაროში მას ესაჭიროებოდა მხედველობა – მან მოიპოვა ის იმ სამყაროში. ყველა ძალა, რომლებიც ესაჭიროებოდა მას ამ სამყაროში, მან მოიპოვა დედის სხეულში. იმ სამყაროში, ის მოემზადა ამ სამყაროსთვის და როდესაც ის შემოვიდა ამ სამყაროში მან დაინახა, რომ ფლობს ყველა აუცილებელ ძალას და რომ განავითარა ისინი ამ სამყაროში, სხეულის ყველა ნაწილები და ორგანოები, აუცილებელნი ამ ცხოვრებისთვის. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ სამყაროში ის უნდა ემზადებოდეს შემდეგი სამყაროსთვის. ის რაც სჭირდება უფლის სამყაროში მან უნდა მიიღოს და მოემზადოს აქ. მსგავსად იმისა, როგორც დედის სხეულში მან მოიპოვა ძალები, აუცილებელნი ამ სამყაროსთვის, ასევე მან უნდა მიიღოს ის, რაც მას დასჭირდება უფლის სამყაროში – ანუ ყველა სულიერი ძალები მან უნდა მოიპოვოს – ამ სამყაროში.“[13]

1. გადაწყვიტეთ, მართებულია თუ არა შემდეგი მტკიცებულებები:

   _____ ყველა ძალა, აუცილებელი ამ სამყაროსთვის, მოიპოვება დედის სხეულში.

   _____ არ არის აუცილებელი მოამზადო საკუთარი თავი მომავალ სამყაროში არსებობისათვის.

   _____ ის, რაც გვჭირდება უფლის სამყაროში, უნდა მივიღოთ ამ სამყაროში.

   _____ ამ ცხოვრების დანიშნულებაა – მოიპოვო ძალები, აუცილებელნი შემდეგ სამყაროში არსებობისათვის.

   _____ ჭეშმარიტი ცხოვრება იწყება მაშინ, როდესაც ადამიანი გარდაიცვლება და მიდის ღვთიურ სასუფეველში.

   _____ ჭეშმარიტი ცხოვრება იწყება ამ სამყაროში და გრძელდება ფიზიკური გარდაცვალების შემდეგ.

2. როგორია ზოგიერთი იმ უნარებიდან, რასაც ადამიანი ღებულობს დედის სხეულში? _____

   _____

3. რა საჩუქრები უნდა მივიღოთ აქ, გარდაცვალების შემდეგ არსებობისათვის?

   _____

   _____

განყოფილება 10

ბაჰაულა აცხადებს:

„ამ დღეს მთელი ვალი კაცისა იმაში მდგომარეობს, რომ მიიღოს მისთვის განკუთვნილი ნიაღვარი წყალობისა, ღმერთისგან მასზედ გადმოღვრილი. მაშ, ნურავინ იფიქრებს ჭურჭლის სიდიდესა თუ სიმცირეზე: ზოგის წილი შეიძლება ხელისგულზე დაეტიოს, ზოგისა – თასს ავსებდეს, სხვათა კიდევ გალონებში იზომებოდეს.“[14]

1. ზემოთ მოცემული ტაეპის გათვალისწინებით, უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

   ა. რაში მდგომარეობს ყოველი კაცის ვალი ამ დღეს? _____

   _____

   ბ. რომელი წყალობანი მიიღეთ თქვენ ღმერთისგან? _____

   _____

   _____

   გ. რას გულისხმობს სიტყვა “ჭურჭელი” ზემოხსენებულ ტაეპში?_____

   _____

   დ. რატომ არ უნდა გავითვალისწინოთ შესაძლებლობების „სიდიდე და სიმცირე“, რომლითაც ჩვენ დაჯილდოებულნი ვართ? _____

   _____

   _____

   _____

   ე. რა არის ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს გვიშლის ჩვენი ღვთის მიერ ბოძებული წყალობის წილის მიღებაში?_____

   _____

   _____

   _____

2. ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

   _____ ჩვენი შესაძლებლობების “სიდიდე თუ სიმცირე” მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ჭკვიანები ვართ.

   _____ ღმერთს რომ ვემსახუროთ, უნდა დავივიწყოთ ჩვენი სისუსტეები და მთელი ჩვენი არსით ვენდოთ მას.

   _____ თუ ამ სამყაროში არ გავავითარებთ იმ შესაძლებლობებს, რაც ღმერთმა გვიბოძა, ჩვენი სულები სუსტი იქნება, როცა იმქვეყნიურ არსებობაში გადავალთ.

განყოფილება 11

ბაჰაულა ამბობს:

„შენ მკითხე სულის ბუნების შესახებ. უწყოდეთ: ჭეშმარიტად, სული – ღმერთის ნიშანია, ზეციური თვალ-მარგალიტი, რომლის არსს ყველაზე განსწავლული კაცნიც ვერ სწვდებიან და რომლის საიდუმლოს ვერარა გონება, რაგინდ გამჭრიახი, ვერასოდეს ამოიცნობს. იგია პირველი ქმნილთა შორის, რომელმაც აღიარა შემოქმედის ბრწყინვალება, შეიცნო მისი სიდიადე, ჩაწვდა მის ჭეშმარიტებას და თაყვანისცემით მოიდრიკა მუხლი მის წინაშე.“[15]

1. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შემდეგ წინადადებებში:

   ა. სული ღმერთის _____.

   ბ. სული არის _____ რომლის _____ ყველაზე განსწავლული კაცნიც ვერ სწვდებიან და რომლის _____ fვერარა გონება, რაგინდ გამჭრიახი, ვერასოდეს _____ .

   გ. სული არის _____, რომელმაც აღიარა _____ .

   დ. სული არის პირველი _____ ღმერთის სიდიადე.

   ე. სული არის პირველი _____ ღმერთის ჭეშმარიტებას.

   ვ. სული არის პირველი _____ მოიდრიკა მუხლი მის წინაშე.

2. ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

   _____ „ამოცნობა” ნიშნავს ჩაწვდომას.

   _____ ყველა ქმნილებათაგან, რომელმაც პირველი შეიცნო ღმერთი არის ადამიანის ტვინი.

   _____ „გამჭრიახი“ გონება ნიშნავს საზრიანს..

   _____ განსწავლული ადამიანი წვდება სულის საიდუმლოს.

   _____ მხოლოდ დიდებულ ფილოსოფოსებს ძალუძთ განაცხადონ ღვთის ბრწყინვალება.

   _____ არ არის აუცილებელი სულზე ვიფიქროთ, რადგან მას მაინც ვერასოდეს შევიცნობთ.

განყოფილება 12

ბაჰაულა აცხადებს:

„თქვენ იმ ჩიტს ჰგავხართ, რომელნიც ფრთებს დაყრდნობილი, მთელი ძალით მშვიდად და ამაყად უვლის უკიდეგანო ზეცას ირაოს, ვიდრე, შიმშილს დამორჩილებული, დედამიწის წყალსა და თიხას არ დააცხრება, შემდეგ კი, გულისთქმათა ხაფანგში გამომწყვდეული აღმოაჩენს, რომ აღარ ძალუძს, კვლავ აფრინდეს სამეფოში, საიდანაც დაეშვა. ოდესღაც ზეციურ სავანის მკვიდრი ფრინველი, ახლა უძლურია, დალაქავებული ფრთებიდან ჩამოიცილოს ტვირთი, ასე რომ ამძიმებს და იძულებულია, მტვერში ეძიოს თავშესაფარი. მაშ, ნუ გაისვრით ფრთებს, მსახურნო ჩემნო, უზნეობისა და ფუჭ სურვილთა ტალახით და ნუ შებღალავთ მათ შურისა და სიძულვილის მტვრით, რათა ხელი არ შეგიშალოთ, ინავარდოთ ჩემი ღვთიური ცოდნის ზეცაში.“[16]

1. დაასრულეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები.

   ა. ჩიტი, რომლის შესახებაც ბაჰაულა ლაპარაკობს ამ ციტატაში, არის _____

   ბ. ეს ფრინველი არის _____ მკვიდრი.

   გ. თუ მისი ფრთები დალაქავებულია, ეს ფრინველი იძულებულია ეძიოს თავშესაფარი _____

2. ახლა უპასუხეთ მომდევნო კითხვებს:

   ა. როგორ შეიძლება სულის „ფრთები“ გახდეს „დალაქავებული“? _____
   _____
   _____

   ბ. აღწერეთ ზოგიერთი ტვირთი, რომელიც „დედამიწის წყალსა და თიხას“ მსგავსად ამძიმებს სულის ფრთებს? _____
   _____
   _____

   გ. მოიყვანეთ მაგალითები იმისა, რაც ხელს შეგვიშლის, ვინავარდოთ ღვთიური ცოდნის ზეცაში? _____
   _____
   _____

   დ. რატომ ცვლის სული ზეციურ სავანეს ამქვეყნიურ მტვერზე? _____
   _____
   _____

3. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ არა შემდეგი დებულებები:

_____ მატერიალური მიდრეკილებანი აფერხებენ სულიერ პროგრესს.

_____ ჩვენი სიჯიუტე და ამაო სურვილები ხელს გვიშლის ვინავარდოთ ზეციური ცოდნის სავანეში.

_____ შური და სიძულვილი არის ადამიანის ბუნებრივი თვისებები და არ ამძიმებს სულს.

_____ ჩვენ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ იმ ტვირთს, რაც გვაფერხებს ვინავარდოთ ღვთიურ უკიდეგანო ზეცაში ამქვეყნიური საგნებისგან განდგომით..

_____ სულის სავანე ამქვეყნად არის

განყოფილება 13

ბაჰაულა ამბობს:

„როდესაც შეიქმნა ქვეყნიერება და ყოველივე, რაც მასზედ ცოცხლობს თუ მოძრაობს, მან, თავისი შეუზღუდავი და უზენაესი ნებით ისურვა, მიენიჭებინა კაცთათვის გამორჩეული ღირსება – შეეცნოთ იგი და შეყვარებოდათ; შესაძლებლობა, რომელიც ამძრავ იმპულსად უნდა ჩაითვალოს და ყოველგვარი ქმნილების ძირითად მიზნად…. თითოეული და ყოველი ქმნილის შინაგან არსში მან გადმოაფრქვია მისი ერთ-ერთი სახელის სინათლე, და აქცია ის მისი ერთ-ერთ თვისების ბრწყინვალების მიმღებად. კაცთა სამყაროსაკენ კი, მიაპყრო ყველა სახელთა ბრწყინვალება და თვისება, და თავის საკუთარ სარკედ აქცია. ყველა ქმნილებათაგან ერთადერთს – მხოლოდ ადამიანს უბოძა ასეთი უდიდესი წყალობა, ასეთი უძლიერესი მადლი.”[17]

1. შეავსეთ ქვემოთ მოცემული ველები:

   ა. უფალმა ისურვა, მიენიჭებინა კაცთათვის გამორჩეული ღირსება _____ _____ .

   ბ. თითოეული და ყოველი _____ მან _____ მისი ერთ-ერთი სახელის _____ , და აქცია ის მისი ერთ-ერთ _____ .

   გ. კაცთა სამყაროსაკენ კი, მიაპყრო ყველა სახელთა _____ _____ , და თავის საკუთარ _____ .

2. ახლა უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

ა. შეგიძლიათ დაასახელოთ ღმერთის ზოგიერთი თვისება? _____

_____

_____

ბ. დაასახელეთ ღმერთის ზოგიერთი თვისება, რომლის არეკვლაც შეუძლია ადამიანის სულს?_____

_____

_____

გ. როგორ შეიძლება გამოვლინდეს ეს თვისებები? _____

_____

_____

დ. რა განსაკუთრებული საჩუქრი იქნა ადამიანზე ბოძებული? _____

_____

_____

3. ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

_____ ადამიანი არ განსხვავდება სხვა ქმნილებებისგან.

_____ უნარი ღმერთის შეცნობისა და მისი სიყვარულისა – არის წყარო მაცოცხლებელი ძალისა და მთავარი ჩანაფიქრისა, ჩადებულს ყოველი ქმნილების საფუძველში.

_____ იდუმალი არსი ყოველი ქმნილებისა – არის არეკვლა ღმერთის ერთ-ერთი თვისებისა.

_____ ადამიანის სულს შეუძლია აირეკლოს ღმერთის ყველა თვისება.

განყოფილება 14

ბაჰაულა გვეუბნება:

„ეს ენერგია, რომლითაც ღვთიური მოწყალების მზემ და ზეციური წინამძღოლობის წყარომ კაცის ბუნება დააჯილდოვა, ჩუმად თვლემს მასში ისევე, როგორც ცეცხლის ალი იმალება სანთელში და ლამპარში კი – სინათლის სხივებია შეფარული. ამ ენერგიის ბრწყინვალება მიწიერ სურვილთა წყალობით შეიძლება დაიბინდოს, როგორც მზის შუქი იკარგება მტვრითა და ჭუჭყით დაფარულ სარკეში. ვერც სანთელი და ვერც ლამპარი თავისთავად ვერ აინთება, როგორც სარკე ვერ გათავისუფლდება თავად ჭუჭყისაგან. ცხადია და ნათელი, რომ ლამპარი ვერასოდეს აელვარდება თუ ცეცხლი არ მოუკიდე, მტვრის გადაწმენდის გარეშე კი სარკეში მზის სახე ვერ გამოჩნდება და ვერც მისი სხივები ან სიდიადე აირეკლება.“[18]

1. რას ნიშნავს სიტყვა „თვლემს“? _____

_____

2. რა შესაძლებლობები თვლემს ადამიანის სულში? _____

_____

_____

3. რომელ დაფარულ თვისებას ფლობს ლამპარი? _____

4. რომელ დაფარულ თვისებას ფლობს სარკე? _____

5. რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ლამპარი აელვარდეს?_____

_____

6. რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სარკემ აირეკლოს შუქი? _____

_____

7. შეუძლია თუ არა ლამპარსა და სარკეს გამოავლინოს თავისი დაფარული უნარები თვითონ, თავისთავად? _____

8. როგორ შეიძლება დავუკავშიროთ ეს ორი მაგალითი ადამიანის სულის მდგომარეობას? _____

_____

_____

_____

9. ვის შეუძლია დაეხმაროს ადამიანის სულს, რომ გამოავლინოს თავისი დაფარული შესაძლებლობები? _____

_____

განყოფილება 15

ბაჰაულა აცხადებს:

„უხნესი არსების შეცნობის კარი ოდითგან დაკეტილი იყო კაცთა წინაშე და მარად ასეც დარჩება. ადამიანის შემეცნება ვერასოდეს მოიპოვებს მის წმინდა კარზე წარსდგომის ნებას. უფალმა, ნიშნად თავისი მოწყალებისა და მზრუნველი სიკეთისა, კაცთ მოუვლინა მნათობნი თვისი ღვთიური წინამძღოლობისა – სიმბოლონი მისი ზეციური ერთობისა; მანვე დააწესა, რომ ამ განწმენდილ არსებათა ცოდნა თვით მის ცოდნას გაუტოლდეს. ვინც შეიცნო ისინი, მან თავად ღმერთი შეიცნო; ვინც ისმინა ძახილი მათი, ჭეშმარიტად,

ხმა ღვთისა გაუგონია და ვინც აღიარა ჭეშმარიტება მათი გამოცხადებისა, მას თავად ღმერთის ჭეშმარიტება უღიარებია. ვინც მათ ზურგი აქცია, მან თავად ღმერთს აქცია ზურგი, ხოლო ვინც არ ირწმუნა მათი, თვით ღმერთის რწმენა დაკარგა. ყოველი მათგანი – ღვთის გზაა, რომელიც მიწიერ სამყაროს ზეციურ სამეფოსთან აკავშირებს და არის ალამი მისი ჭეშმარიტებისა, როგორც მიწიერ, ისე ზეციურ სასუფეველში. ისინი არიან ღმერთის განსახიერებანი კაცთა შორის, მისი ჭეშმარიტების მტკიცებანი და ნიშანნი მისი სიდიადისა.“[19]

1. ზემოთ მოცემული ციტატის გათვალისწინებით, უპასუხეთ შემდეგ კითხვებს

   ა. შეგვიძლია თუ არა ჩვენ უშუალოდ შევიცნოთ ღმერთი? _____

   ბ. მაშ, როგორ შეგვიძლია შევიცნოთ ღმერთი? _____

   გ. შეგვიძლია დავასახელოთ მნათობნი ღვთიური წინამძღოლობისა?____
   _____

   დ. ვის ხმას გაიგონებენ ისინი, ვისაც ღმერთის გამოცხადების ძახილი ესმის?_____
   _____

   ე. ვის ვაქცევთ ზურგს, როდესაც ღმერთის გამოცხადებას არ ვირწმუნებთ?
   _____

2. დაასრულეთ შემდეგი წინადადებები:

   ა. უხნესი არსების შეცნობის კარი ოდითგან_____
   იყო _____და ასე დარჩება.

   ბ. ადამიანის შემეცნება ვერასოდეს მოიპოვებს _____ .

   გ. უფალმა გაგზავნა თავისი გამოცხადებები ნიშნად თავისი_____
   _____ და მზრუნველი _____.

   დ. ღმერთის გამოცხადების ცოდნა უტოლდება _____
   _____ .

   ე. ვინც შეიცნო ისინი, მან _____ .

   ვ. ვინც ისმინა ძახილი მათი, მან_____.

   ზ. ყოველი მათგანი ღვთის გზაა, რომელიც _____
   _____
   _____

3. ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

_____ ჩვენ შეგვიძლია სულიერად გავიზარდოთ მხოლოდ ჩვენი ძალისხმევით.

_____ ღმერთმა მოგვცა გონება და ეს საკმარისია ჩვენი პროგრესისთვის.

_____ ჩვენ სულიერად განვითარდებით ღმერთის გამოცხადების შეცნობისას და მეტი ძალისხმევა აღარ იქნება საჭირო.

_____ ჩვენ შევძლებთ სულიერად განვითარებას ღმერთის გამოცხადების შეცნობისას და ძალისხმევის მინიჭებით ვიცხოვროთ მისი სწავლების შესაბამისად.

_____ ჩვენ შეგვიძლია უშუალოდ შევიცნოთ ღმერთი.

_____ ადამიანს შესწევს უნარი ღმერთის მსგავსი გახდეს..

_____ ღმერთი ადამიანის შეცნობის უნარს აღემატება.

_____ როცა ღმერთის გამოცხადების ხმას ვუსმენთ, ჩვენ გვესმის ღმერთის ხმა.

განყოფილება 16

ბაჰაულა აცხადებს:

„ღვთის წინასწარმეტყველნი და წარგზავნილნი ერთადერთი მიზნით წარმოიგზავნებიან: წინ წარუძღვნენ კაცობრიობას ჭეშმარიტების ბილიკისაკენ. მათი გამოცხადების ძირითადი მიზანია, გაანათლონ ადამიანები, რათა სიკვდილის ჟამს შეეძლოთ, უდიდესი სიწმინდითა და სრული განდგომილებით მიაღწიონ ცათა შინა – უმაღლესის ტახტს.“[20]

და სხვა მონაკვეთში, ის ამბობს:

„ადამიანი უზენაესი თილისმაა. თუმც, სათანადო განათლების ნაკლებობა მისგან აშორებს, რასაც შინაგანად ფლობს თავად. მას სული ღვთის ბაგეთაგან მოწყვეტილი სიტყვით შთაბერა; კიდევ ერთი სიტყვა და მან შეიცნო წყარო თვისი განათლებისა. მომდევნო სიტყვით განისაზღვრა მისი მდგომარეობა და ბედისწერა. დიადი არსება ამბობს: ჩათვალეთ კაცი ფასდაუდებელი თვალ-მარგალიტით მდიდარ საბადოდ; მის საგანძურს მხოლოდ განათლება თუ გამოამზეურებს და კაცობრიობას მისით სარგებლობის საშუალებას მისცემს. თუ ვინმე დაუფიქრდება იმას, რასაც ღმერთის წმინდა ნების ზეციდან წარმოგზავნილი წმინდა წერილები აცხადებს, ადვილად მიხვდება, რომ მათი მიზანია, ყოველი კაცი ერთ სულად ჩაითვალოს, ყოველ გულს კი დაესვას ბეჭედი სიტყვებით: "ესე არს სასუფეველი ღვთისა", და ღვთიური სიუხვის, სიკეთისა და მოწყალების ნათელმა მოიცვას სრულიად კაცობრიობა.“[21]

1. რა მიზნით ღვთის წინასწარმეტყველნი და გამოცხადებანი წარმოიგზავნებიან? _____

_____

_____

2. რა არის ძირითადი მიზანი მათი გამოცხადებისა? _____

_____

_____

_____

3. რას ნიშნავს სიტყვა „თილისმა“? _____

_____

4. რა შედეგი მოჰყვება სათანადო განათლების ნაკლებობას? _____

_____

5. რა შეიძლება იქნას მიღწეული სათანადო განათლებით? _____

_____

_____

6. რა არის ჩვენი განათლების წყარო? _____

7. რა არის ჩვენი ბედისწერა? _____

_____

8. დაასახელეთ ზოგიერთი თვალ-მარგალიტი, რომელიც განათლებას შეუძლია გამოავლინოს? _____

_____

9. რას ვაღიარებთ ადვილად წმინდა წერილების გააზრების დროს? _____

_____

_____

_____

_____

განყოფილება 17

ბაჰაულა აცხადებს:

„ამის გარდა, შენ მკითხე სულის მდგომარეობაზე სხეულთან განშორების შემდეგ. მაშ, იცოდე სიმართლე: თუ კაცის სულს ღმერთის გზებით უვლია, ის უეჭველად დაუბრუნდება და შეუერთდება უსაყვარლესის სიდიადეს. სიმართლემან ღვთისამან! იგი მიაღწევს მდგომარეობას, რომლის დახატვა არც ერთ კალამს არ ძალუძს, აღწერას კი ენა ვერ შეძლებს. სული, რომელიც ღმერთის საქმის ერთგული დარჩა და მტკიცედ, განუხრელად ადგას მის

ბილიკს, ზეცად ამაღლების შემდეგ ისეთ ძალას მოიპოვებს, რომელმაც შეიძლება სარგებლობა მოუტანოს და დაეხმაროს ყოვლისშემძლის შექმნილ ყველა სამყაროს.“[22]

1. დაასრულეთ შემდეგი ფრაზები:

   ა. თუ სულს ღმერთის გზებით უვლია, ის უეჭველად_____ _____ .

   ბ. იგი მიაღწევს მდგომარეობას, რომლის _____ _____ .

   გ. _____ რომელიც _____ და _____, განუხრელად _____ , შემდეგ ისეთი _____ მოიპოვებს, რომელმაც შეიძლება _____ მოუტანოს და დაეხმაროს _____ ყველა სამყაროს.

განყოფილება 18

ბაჰაულა გვეუბნება:

„ნეტარ არს სული, რომელიც სხეულთან გაყრის ჟამს განწმენდილია ქვეყნიერების ხალხთა ფუჭი წარმოდგენებისაგან. ამგვარ მდგომარეობაში იგი სულდგმულობს და მოძრაობს მისი შემქმნელის ნების თანახმად და ყოვლადამაღლებულ სამოთხეში შედის. ზეციური ქალწულები, ყველაზე მაღალი სამეფოს მკვიდრნი, გარს შემოერტყმიან და უფლის წინასწარმეტყველები თუ მისი რჩეულნი ერთად შეეცდებიან მასთან ყოფნას. ეს სული თავისუფლად გაესაუბრება მათ და მოუთხრობს ყოველივეს, რაც უფლისკენ მიმავალ გზაზე გადახდა, მეუფისა ყოველთა სამყაროთა.“[23]

„თავადაც უნდა მიუტევოს ცოდვილს და არ დასცინოს მის მდაბალ მდგომარეობას, რამეთუ არავინ იცის, როგორია თავისი ბოლო. რამდენჯერ ყოფილა, რომ ცოდვილი სიკვდილის ჟამს ზიარებია რწმენის არსს და უკვდავების ყლუპის ჩაყლაპვის შემდეგ აფრენილა მაღალი დარბაზისაკენ! და რამდენჯერ – თავგანწირული მორწმუნე სულის ამოსვლის საათს ისე შეცვლილა, რომ ქვესკნელის ცეცხლში ჩავარდნილა!“[24]

1. როგორი უნდა იყოს ჩვენი სულის მდგომარეობა, როცა ის სხეულს ეყრება?

   _____

2. რა არის ფუჭი წარმოდგენები?_____

   _____

_____

_____

3. რა მდგომარეობაში იცხოვრებს და იმოძრავებს ფუჭი წარმოდგენებისგან განწმენდილი სული სიკვდილის შემდეგ? _____

_____

_____

_____

4. ვინ იქნება ასეთი სულის თანამგზავრნი? _____

_____

5. შეეძლება თუ არა ასეთ სულს უფლის წინასწარმეტყველებთან და მის რჩეულებთან საუბარი? _____

_____

6. ვიცით, თუ არა წინასწარ, როდის და როგორ დამთავრდება ჩვენი სიცოცხლე? _____

7. როგორ უნდა მოვიქცეთ ახლა, რომ უზრუნველვყოთ ჩვენთვის განკუთვნილი მარადიული სიცოცხლე? _____

_____

_____

განყოფილება 19

აბდულ-ბაჰა განმარტავს:

„როგორც ადამიანის სრულ მატერიალური გარსის დაშლის შემდეგ გააჩნია მარადიული ცხოვრება, ასევე ყოველი ქმნილება არის დაჯილდოვებული განვითარების უნარით. სწორედ ამიტომ არის ნებადართული ვითხოვოთ სრულყოფა, შენდობა, შეწყალება, თანადგომა და ნეტარება უსიცოცხლო ადამიანისათვის, რამეთუ არსებობაში ჩადებულია განვითარების უნარი. აი, რატომ შეიცავს ბაჰაულას ლოცვები შენდობისა და ცოდვათა მიტევების თხოვნებს გარდაცვლილთათვის. მეტიც, როგორც ამ სამყაროში საჭიროებენ ადამიანები უფალს, ისევე იმ სამყაროშიც. ქმნილებები მუდამ იმყოფებიან რაღაცის საჭიროებაში, ხოლო უფალი – აბსოლუტურად დამოუკიდებელია ამ სამყაროშიც და იმ სამყაროშიც.“[25]

რატომ უნდა ვილოცოთ მიცვალებულთა სულებისთვის?

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

განყოფილება 20

აბდულ-ბაჰა წერს:

„როდესაც ადამიანის სული მიესწრაფება მიწის ამ ნაგლეჯის საზღვრებს მიღმა და აიჭრება ღვთიურ სამყაროსთან, მაშინ ჩამოეცლება მას საბურველი და ნათელი ხდება ჭეშმარიტება და ყველაფერი, რაც ადრე იყო უცნობი, ხდება გასაგები და იხსნება სანუკვარი იდუმალებანი.

დაუფიქრდი თუ როგორ იყო ადამიანი დედის სხეულში ყოფნის დროს სმენით ყრუ, ხედვით ბრმა, მეტყველებით კი მუნჯი. როგორ იყო ის მოკლებული ყველა სახის აღქმის უნარით. იმ წყვდიადის სამყაროდან ადამიანი ხვდება სინათლის სამყაროში, მისი თვალები იწყებს ხედვას, ყურები სმენას, ენა მეტყველებას. და ასევე, როდესაც ადამიანი ტოვებს ამ წარმავალ სამყაროს და მიესწრაფება ღვთიურ სამეფოსკენ, ის იბადება სულში; მაშინ მისი შინაგანი თვალი ხდება მხედველი, სული მოიპოვებს სმენას და ყველა ჭეშმარიტებები, ადრე დაფარულნი მისგან, წარსდგება მის წინ ნათლად და ხილულად.“[26]

1. შეავსეთ ქვემოთ მოცემული გამოტოვებული ადგილები:

   ა. როდესაც ადამიანის სული ტოვებს ამ სამყაროს, მაშინ

   – საბურველი _____ ,

   – და ჭეშმარიტებანი_____ ,

   – და ყველაფერი, რაც ადრე იყო უცნობი_____,

   – და სანუკვარი იდუმალებანი_____ .

   ბ. დედის _____ , ჩვენ ვიყავით _____ყრუ, _____ ბრმა, და _____მუნჯი.

   გ. როდესაც ამ სამყაროში დავიბადეთ, მაშინ ჩვენი თვალი _____ , ჩვენი ყური _____ , და ჩვენი ენა _____ .

დ. და ასევე, როდესაც ჩვენი ვტოვებთ ამ წარმავალ სამყაროს და მივესწრაფებით ღვთიურ სამეფოსკენ, ჩვენ _____ .

ე. მაშინ ჩვენი შინაგანი _____, სული მოიპოვებს _____ , და ყველა _____ ადრე დაფარულნი ჩვენგან _____ და _____ .

2. გადაწყვიტეთ არის თუ არა შემდეგი განცხადებები ჭეშმარიტი:

_____ როდესაც დედის სხეულში ვიმყოფებით, ჩვენ ვიცით ამ სამყაროს შესახებ.

_____ ჩვენი მდგომარეობა სიკვდილის შემდეგ არის ჩვენთვის დამალული ჭეშმარიტება ამ ცხოვრებაში.

_____ შესაძლებლობანი, სრულიად ახალი, გაიხსნება ჩვენს წინაშე სიკვდილის შემდეგ.

_____ როდესაც სხეულისგან განვიყრებით, კვლავ ახლად ვიბადებით ამ სამყაროში.

განყოფილება 21

ბაჰაულა აცხადებს:

„ახლა კი შენს კითხვასთან დაკავშირებით – იცნობენ და გრძნობენ თუ არა სულები ერთმანეთს ხორცთან განშორების შემდეგ. იცოდე, ბაჰას ხალხის სულებს, რომლებიც შევიდნენ და დამკვიდრნენ ძოწისფერ კიდობანში, ახლა ურთიერთობა ექნება ერთმანეთთან და სიცოცხლეშივე ისე დაკავშირებულნი იქნებიან თავიანთი, სწრაფვებით, მიზნებით და ინტერესებით, თითქოს ერთი სული ედგათ. ისინი ჭეშმარიტად, მრავლისმცოდნენი არიან, შორსმჭვრეტელნი და შეცნობის ნიჭით დაჯილდოვებულნი. ასეა ნაბრძანები მის მიერ, ვინც ყოვლისმცოდნეა, ყოვლადბრძენი.

თითოეულმა და ყველამ ბაჰას ხალხთაგან, ღმერთის კიდობანში რომ სახლობენ, კარგად იცის ერთმანეთის მდგომარეობა და დანარჩენთან მეგობრებისა და ძმობის ბორკილებით არიან შეკავშირებულნი. თუმცა, ეს მათ რწმენასა და მოქცევაზეა დამოკიდებული. ერთსა და იმავე დონესა და მდგომარეობაში მყოფთ სრულად ესმით ერთმანეთის შესაძლებლობანი, ხასიათი, მიღწევები თუ დამსახურებანი. უფრო დაბალ საფეხურზე არსებულთ კი არ შეუძლიათ, სათანადოდ აღიქვან თავიანთზე მაღლა მყოფთა მდგომარეობა, ანდა სწორად შეაფასონ მათი მიღწევები. თითოეული თავის წილს მიიღებს შენი უფლისაგან. კურთხეულია კაცი, რომელმაც პირი ღვთისკენ იბრუნა და იარა მტკიცემ მის სიყვარულში, ვიდრე სული მისი მისკენ გაფრინდებოდა – უზენაესი მეუფისკენ – უძლიერესის, მარად მიმტევებლის და ყოვლადმოწყალისაკენ.“[27]

1. ვიცნობთ იქ იმ ადამიანებს, რომელთაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში ვიცნობდით, თუ არა? _____

2. რამდენად მჭიდრო კავშირი იქნება სულებს შორის შემდეგ სამყაროში? __
_____

3. რაზე იქნება იქ დამოკიდებული განსხვავება და გარჩევა სულებს შორის?
_____
_____

4. იქნება ვინმე მოკლებული ღვთის წყალობისა? _____

განყოფილება 22

ბაჰაულა მოგვიწოდებს:

„მსახურნო ჩემნო! ნუ დამწუხრდებით, თუ ამ დღეებში და ამ მიწიერ სივრცეში ბევრი რამ ღმერთს თქვენს სურვილთა წინააღმდეგ დაუდგენია, რადგან უსათუოდ გელით დღეები ჭეშმარიტი ბედნიერებისა და ზეციური ნეტარებისა. თქვენს თვალწინ ფარდა აეხდება წმინდა და სულიერად დიად სამყაროებს. უფალმა ბედად დაგიწესათ, რომ ამქვეყნადაც და მერეც იგემოთ ამ სამყაროთა მადლი, გაიზიაროთ მათი სიხარული და მიიღოთ მათი მაცოცხლებელი სიკეთის წილი. თქვენ უთუოდ მიაღწევთ თითოეულ და ყოველ მათგანს.“[28]

1. გადაწყვიტეთ შემდეგი ჩამონათვალიდან რომელია სწორი:

   _____ ჩვენ უნდა ვწუხდეთ, როცა საქმე ისე არ მიდის, როგორც ჩვენ გვსურს.

   _____ ყოველივე, ცუდიც ან კარგიც, ღმერთისგანაა განწესებული.

   _____ ნეტარი სიხარულის დღეები გველოდება ყველას ჩვენ.

   _____ ჩვენ აუცილებლად ვიხილავთ სამყაროებს, აღსავსეს სიწმინდითა და სულიერი დიდებულებით.

   _____ ჩვენი ბედია, ვიგემოთ სიკეთენი წმინდა და სულიერად დიდებული სამყაროების, როგორც ამ სამყაროში, ასევე მომავალ ცხოვრებაშიც.

2. რატომ არ უნდა დავნაღვლიანდეთ, როდესაც რაიმე ისე არ მიდის, როგორც ჩვენ გვსურს? _____
_____
_____
_____

3. ბაჰაულას რომელ დაპირებაზეა საუბარი ამ ციტატაში? _____

_____

_____

_____

განყოფილება 23

ამ განყოფილებაში თქვენ იმსჯელეთ ადამიანის ცხოვრების აზრზე. თქვენ ბევრი შეისწავლეთ სულის ბუნებაზე, ცხოვრების დანიშნულებაზე ამ სამყაროში, სულიერი თვისებების აუცილებელ განვითარებაზე და დაპირებაზე, რომელიც მივიღეთ მარადიულ სიცოცხლეზე, აღსავსეს დიდებითა და სიხარულით. წიგნის მეორე ნაწილში ჩვენ ვისაუბრეთ ორმაგ დანიშნულებაზე – ვიზრუნოთ ჩვენს სულიერ და ინტელექტუალურ ზრდაზე და შევიტანოთ წვლილი საზოგადოების გარდასახვაში. აქ მოცემულია შესაძლებლობა დავუბრუნდეთ ამ კონცეფციას და დავფიქრდეთ ყურადღებით ამ მიზნის ორივე ასპექტის მნიშვნელობაზე, თქვენ მიერ მიღებული ცოდნის შუქში სულის ცხოვრებაზე. თქვენი განხილვისას შესაძლებელია სასარგებლო აღმოჩნდეს თქვენს ჯგუფში განიხილოთ ქვემოთ მოყვანილი თემები.

1. *სულიერი თვისებების განვითარება*
2. *ღმერთის კანონების დაცვა*
3. *ადამიანთა მოდგმის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა*
4. *წინსვლა მსახურების გზაზე*

ბიბლიოგრაფია

1. From a talk given on 10 November 1911, published in *Paris Talks: Addresses Given by ‘Abdu’l-Bahá in 1911* (Wilmette: Bahá’íPublishing, 2006, 2016 printing), no. 29.12–13, p. 109.

2. From a letter dated 28 July 2016 written on behalf of the Universal House of Justice.

3. ‘Abdu’l-Bahá, in *Some Answered Questions* (Wilmette: Bahá’í Publishing, 2014, 2016 printing), no. 66.3, pp. 352–53.

4. Ibid., no. 38.5, p. 220.

5. From a talk given by ‘Abdu’l-Bahá on 9 November 1911, published in *Paris Talks*, no. 28.16, p. 104.

6. From a letter dated 31 December 1937 written on behalf of Shoghi Effendi, published in *Lights of Guidance*, no. 680, p. 204.

7. *Gleanings from the Writings of Bahá’u’lláh* (Wilmette: Bahá’í Publishing Trust, 1983, 2017 printing), LXXXII, par. 8, p. 183.

8. ‘Abdu’l-Bahá, in *Some Answered Questions*, no. 61.1–2, p. 334.

9. *Gleanings from the Writings of Bahá’u’lláh*, LXXX, par. 2, p. 174.

10. Ibid., LXXXI, par. 1, p. 176.

11. Ibid., CLXV, par. 1–3, pp. 391–92.

12. Bahá’u’lláh, *The Hidden Words* (Wilmette: Bahá’í Publishing Trust, 2003, 2012 printing), Arabic no. 32, p. 11.

13. From a talk given on 6 July 1912, published in *The Promulgation of Universal Peace: Talks Delivered by ‘Abdu’l-Bahá during His Visit to the United States and Canada in 1912* (Wilmette: Bahá’í Publishing, 2012), pp. 315–16. (authorized translation).

14. *Gleanings from the Writings of Bahá’u’lláh*, V, par. 4, p. 8.

15. Ibid., LXXXII, par. 1, pp. 179–80.

16. Ibid., CLIII, par. 6, pp. 370–71.

17. Ibid., XXVII, par. 2, pp. 72–73.

18. Ibid., XXVII, par. 3, p. 73.

20. Ibid., XXI, par. 1, pp. 54–55.

21. Ibid., LXXXI, par. 1, p. 177.

22. Ibid., CXXII, par. 1, pp. 293–94.

23. Ibid., LXXXII, par. 7, p. 182.

24. Ibid., LXXXI, par. 1, pp. 176–77.

25. Ibid., CXXV, par. 3, pp. 300–1.

26. ‘Abdu’l-Bahá, in *Some Answered Questions*, no. 62.3, pp. 340–41.

27. *Selections from the Writings of ‘Abdu’l-Bahá* (Wilmette: Bahá’í Publishing, 2010, 2015 printing), no. 149.3–4, pp. 246–47.

28. *Gleanings from the Writings of Bahá’u’lláh*, LXXXVI, par. 1–2, pp. 192–93.

29. Ibid., CLIII, par. 9, p. 373.